**დასავლეთი და ქართველი ამომრჩეველი ერთხმად მოუწოდებს ქვეყნის ღალატის გზაზე შემდგარ ოპოზიციას პარლამენტში შესვლისკენ, მაგრამ ეს ანტისახელმწიფოებრივი ძალა ისევ და ისევ უცილობლობს ვითა ჯორი!**



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 25 ნოემბერი. 2020 წ. №165 (9091) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


## გაფარჩაკებული ოპოზიციის მიერ შექმნილი აბსურდული სინამდვილე!

### 90 დეპუტატი ერთი პარტია ერთი ფრაქცია... პარლამენტი 2020-202?



**არჩევნების მეორე ტურში უკონკურენტოდ აღებული 17 მანდატის ჩათვლით, „ქართულმა ოცნებამ“ სულ 90 სადეპუტატო მანდატი მოაგროვა და ჯამში, ოპოზიციის ბოიკოტის ფონზე, ამ ეტაპზე ვითარება ასეთია: 150-წევრიან პარლამენტში სულ 90 დეპუტატი იქნება! პარლამენტის ახალი რეგლამენტის თანახმად, „ქართული ოცნება“ ერთი ფრაქციაზე მეტს ვერ შექმნის.**

რისი უფლება ექნება ან არ ექნება „ქართული ოცნების“ ერთპარტიულ პარლამენტს? რას შეძლებს ის და რას ვერ შეძლებს?

„ქართული ოცნების“ 90 დეპუტატი სავსებით საკმარისი იქნება იმისთვის, რომ: პარლამენტმა მუშაობა დაიწყოს, ცნოს დეპუტატების უფლებამოსილება, გაანაწილოს საპარლამენტო თანამდებობები და კანონებიც დაამტკიცოს – **„ახალარჩეული პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (ანუ 76 დეპუტატი მაინც)“.**

მაგრამ იმის გამო, რომ პარტია პარლამენტში 2/3-თაც (ანუ 100 დეპუტატით) არ იქნება წარმოდგენილი, საპარლამენტო მუშაობა შესაძლოა შეფერხდეს რამდენიმე მიმართულებით.

მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებისა და პარლამენტის რეგლამენტში სექტემბერში შეტანილი ცვლილებების თანახმად: კონსტიტუციური კანონის მიღებას ესაჭიროება პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/4-ის (ანუ 113 დეპუტატის) მხარდაჭერა;

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული კონსტიტუციური კანონის მიღებას ესაჭიროება პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის (ანუ 100 დეპუტატის) მხარდაჭერა;

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებული ორგანული კანონის დამტკიცებას ესაჭიროება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის (ანუ 100 დეპუტატის) მხარდაჭერა;

საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადასაყენებლად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი (100 დეპუტატი).

პრობლემური იქნება ასევე დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნაც, რადგან – ახალი რეგლამენტის თანახმად – **„ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები“.** ამავე მიზეზით პრობლემური იქნება სხვა დროებითი კომისიების დაკომპლექტებაც.

იხ. 5 გვ.

## ბნელი გვირაბის ბოლოს შუქი უფრო კაშკაშა ხდება



**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ტედროს ადჰანომ გებრეიესუსმა განაცხადა, რომ ვაქცინის შექმნასთან დაკავშირებით ბოლოდროინდელი პოზიტიური სიახლეები კორონავირუსის პანდემიის დამარცხების იმედს იძლევა.**

**ბოლოდროინდელი პოზიტიური სიახლეების წყალობით, ამ ბნელი გვირაბის ბოლოს შუქი უფრო კაშკაშა ხდება. ახლა რეალური იმედი გვაქვს, რომ ვაქცინა სხვა ზომებთან ერთად პანდემიის დამარცხებაში დაგვეხმარება“,** – განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა.

## კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, რასაც სახელმწიფო შემოიტანს, მოსახლეობისთვის უფასო იქნება

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით, როდესაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია დაამტკიცებს ე.წ. კოვაქსის პლატფორმაზე ვაქცინას, საქართველოსთვის ის იქნება ხელმისაწვდომი.** ამასთან, გამყრელიძე ამბობს, რომ საქართველოში ვაქცინა, რომელსაც სახელმწიფო შემოიტანს, მოსახლეობისთვის უფასო იქნება.

**„კონტრაქტი არსებობს, პირველი შენატანი გაკეთებულია და ჩვენ მივიღებთ 700 000 ადამიანისთვის ასაცრელ ვაქცინის მილიონ 400 000 დოზას. ეს იქნება თებერვალში, მარტში, ჯერ დაბეჯითებით ამის თქმა არ შემიძლია, ვიდრე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ დაამტკიცებს კოვაქსისის პლატფორმაზე ამ სამი, თუ ოთხი ვაქცინიდან რომელიმეს. პარალელურად, ჩვენ ვმუშაობთ თვითონ ამ მწარმოებლებთან. რასაც სახელმწიფო შემოიტანს, რა თქმა უნდა, ეს იქნება უფასო მოსახლეობისთვის, იქნება სახელმწიფოს ხარჯზე“,** – განაცხადა გამყრელიძემ.

### ოპოზიციას ერთადერთი რესურსი დარჩა – „გლაკანალი“

④

**„პარტია, რომელიც მანდატებზე უარს ამბობს, უარს ამბობს იმაზე, რომ საერთოდ პარტიაა!**

### ბურჯანაძე-ბერძენიშვილის ბოროტი ტანდემი



②

### მიტინგების გამფიჩი

### ჩვენს სიჩუმესაც და მოთმინებასაც აქვს საზღვარი!..

③

### გრიგალაშვილის ევროპული გრიგალი



⑤

# ევროპარლამენტი: პატივი ეცით ამომრჩევლის დემოკრატიულ არჩევანს!

ევროპარლამენტარები 21 ნოემბერს საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ.

**„კიდევ ერთხელ გვინდა მივულოცოთ საქართველოს, ევროკავშირის მნიშვნელოვან მოკავშირეს, ამ არჩევნების ორგანიზება, მიუხედავად რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა. ჩვენ მხარს ვუჭერთ ეუთოოდირის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ნატოს საპარლამენტო ასამბლეისა და European Diplomatic Watch-ის შეფასებებს, რომელიც მათ პირველი ტურის შემდეგ დაადასტურეს. მეორე ტურის შემდეგ ყველა დასაბუთებული საჩივრის სამართლიან, გამჭვირვალე და საფუძვლიან განხილვას ველოდებით. ჩვენ ვწუხვართ იმ ფაქტის გამო, რომ ოპოზიციის კანდიდატებმა მეორე ტურში მონაწილეობა არ მიიღეს. ჩვენ ვითხოვთ დარჩენილი ხარვეზების მოგვარებას ახალი საარჩევნო**



**რეფორმის საშუალებით და პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური პარტიის აქტიური ჩართულობით. ევროპარლამენტი მზად არის, დახმარება გასწიოს, რათა მომდევნო არჩევნების წინ შესაბამისი კანონმდებლობა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს“,** — ნათქვამია განცხადებაში.

ევროპარლამენტარები ყველა პოლიტიკურ მოთამაშეს მოუწოდებენ, გამოიჩინონ პასუხისმგებლობა, თავშეკავება და სიმწიფე, პატივი სცენ ამომრჩევლის დემოკრატიულ არჩევანს და გამონახონ კომპრომისი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პარლამენტის, როგორც დემოკრატიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

**„ახლახან არჩეულ პარლამენტში წარმოდგენილმა პოლიტიკურმა ძალებმა კონსტრუქტიულად უნდა იმუშაონ და საქართველოს მიერ არჩეული ევროპული გზის უფრო დიდი ინტერესი გაითვალისწინონ“,** — დასძინეს ევროპარლამენტარებმა. განცხადებას ხელს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დევიდ მაკკალისტერი, ევროპარლამენტში სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის დელეგაციის თავმჯდომარე მარინა კალიურანდი, ევროპარლამენტში საქართველოს საკითხებზე თანამომხსენებელი სვენ მიკსერი და ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი აწერენ.




# PACE: მოვუწოდებთ ყველა მხარეს, მანდატები მიიღონ და ახალ პარლამენტში შევიდნენ!

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საქართველოს მონიტორინგის ჯგუფის თანამომხსენებლები ტიტუს კორლატეანი და კლოდ კერნი ყველა პოლიტიკურ პარტიას მოუწოდებენ, საპარლამენტო მანდატები მიიღონ და პარლამენტში შევიდნენ.

**„საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად მრავალფეროვანი პარლამენტი ჩამოყალიბდა, სადაც მმართველი უმრავლესობა ძლიერი ოპოზიციის წინაშე აღმოჩნდება, რაც სათანადო საპარლამენტო ზედამხედველობას უზრუნველყოფს. საქართველოს დემოკრატიული კონსოლიდაციის მიზნით, მოვუწოდებთ ყველა მხარეს, მიიღონ მანდატები და ახალ პარლამენტში შევიდნენ“,** — განაცხადეს თანამომხსენებლებმა.

ტიტუს კორლატეანიმ და კლოდ კერნიმ ასევე აღნიშნეს, რომ მხარს უჭერენ არჩევნების შესახებ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მიერ გაკეთებულ შეფასებას.

# ბურჯანაძე–ბერძენიშვილის ბოროტი ტანდემი



**იმ დღეს, შაბათ საღამოს, არჩევნების II ტურის დასრულების შემდეგ, ნიკა გვარამიამ თავის „მთავარის“ სტუდიაში ისეთი „ფეიერვერკი“ მოაწყო, რაც კი ადრე მოუწყვია, თვით გიორგი შაქარაშვილისა და თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილის გარემოებათა მისეული „გამოძიებაც“ კი, რამაც ლამის შეშალა ათასობით ტელემაყურებელი, ერთბაშად გააქარწყლა.**

ტელესტუდიაში მოწვეულ სტუმრებს უქადაგებდა ეს ეშმაკეული, ბოროტი ცინიკოსი და ბალღამს ანთხევდა „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის მიმართ, საგანგებოდ შეთხზულ სიცრუეს ატირაჟებდა.

მაგრამ მთელ ამ ამბავში საოცარი ის იყო, თუ რა „მიგნებულად“, საგანგებოდ შეერჩია სტუმრები. უმალ ნინო ბურჯანაძეს დავასახელებ. ეს ქალბატონი, რომელიც რვა წელია ამაოდ იბრძვის პარლამენტში მოსახვედრად, და ამ ხნის მანძილზე ასე თუ ისე ინარჩუნებდა რესპექტაბელობას, 2020 წლის არჩევნებმა სულ გამოიყვანა წყობიდან. მიჯნა ვერ გადალახა და ახლა ვარდუა მკითხავივით მთელი ქვეყანა გადასცა ანათემას, ხმები მომპარეს, ბიძინა ივანიშვილმა სპეციალურად გამიკეთა ეს საქმეო.

იმ დღესაც, ათასმეერთედ შორიდან დაიწყო: „38 წლისა ვიყავი, როცა საქართველოს პრეზიდენტი შევცვალე დროებითო“, იმ სტილში, კინოფილმებიდან რომ გვახსოვს: „მე რომ ოსმალეთში ვიყავი“, ან „მე რომ არაბთან ვიწექი“... მაგრამ ამას ვინ ჩივის, ერთი ისეთი პროგნოზი გვაჯახა ამ პოლიტიკაში ჭიპმოჭრილმა ქალმა, რომ მის გვერდით მჯდომი, ოპოზიციაში შეკვეხებული ნინო ჯანგარაშვილიც კი სკამიდან კინაღამ გადავარდა: **დანამდვილებით ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილს ჩაფიქრებულ-გადაწყვეტილი აქვს თავისი დინასტია დააარსოს, თავისი საგვარეულო სამიდღემჩიოდ ჩაუყენოს საქართველოსო.**



არადა, ბიძინას ოთხი შვილიდან არც ერთი პოლიტიკისთვის არ გაუკარებია, თვითონ კი თავისი ჭყინტი ანზორიკო, აკვნიდან ამოიყვანა თუ არა, მაშინვე პარტიაში გვერდით მოისვა, ახლაც სადეპუტატოდ ჰყავდა სიაში შეჩურთული.

იმ საღამოსაც, ისევე როგორც საერთოდ ამ საარჩევნო მარათონში ქ-ნი ნინო ნაკლებად ჰგავდა „რკინის ლედის“, ყველას საუბარში ეჩრებოდა, ერთი სიტყვით თავი მოაბეზრა ტელემაყურებელს, როგორც ხატია დეკანოიძის სწორხაზოვანმა შხამმა.

მაგრამ თურმე წინ უარესი გველოდა. როდის-როდის ეკრანზე ჩართვით გამოჩნდა ლევან ბერძენიშვილის გოდორა თავი, უმალ გააღო საინფორმაციო ღრუ და მოგვდგა, მაგრამ რა მოგვდგა... ბოლოს კი, რეზიუმედ ასეთი რამ დაახეთქა: **ყველა ის ამომრჩეველი, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა, ავადმყოფიაო, ერის დაავადებული ნაწილიაო!**

ესე იგი, ერის მესამედზე მეტი, „ოცნების“ მხარდამჭერი მილიონზე მეტი ადამიანი ავადმყოფია და ეს ბოლოკის მსგავსი კაცი, რომელსაც, ენა პირში არ ეტევა (არა გადატანითი მნიშვნელობით, რაკიღა ზედმეტს და უკადრისს ყბედობს, არამედ სრულიად რეალურად: სქელ და გრძელ ენას დროდადრო თითით იტენის უკან), სიჯანსაღის მაგალითია, ეს ამდენი ქართველი — ავადმყოფი? მაინც რითი მოხიბლა და დაიმონა მამაძაღლმა მიშა სეთურმა ნეტავი?

მთავარი კი ის არის, რომ ბერძენიშვილის გონების ბოროტი ნაჟური თვით ოპოზიციამაც კი დაგმო, როგორც უკადრისი და უღირსი...

**სანდრო ალექსიძე**

# მდგომარეობა რთულია, თუმცა კონტროლს ექვემდებარება

**საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით წერტილოვანი შეზღუდვების გაფართოების საკითხი განიხილეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.**



პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით აღინიშნა, რომ წერტილოვანი შეზღუდვების გაფართოებაზე მსჯელობა, ბიზნესსექტორის და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების უშუალო ჩართულობით, აქტიურად მიმდინარეობს და კონკრეტული გადაწყვეტილებები უახლოეს პერიოდში მიიღება.

**მთავრობის მიზანია, ბიზნესთან კონსულტაციების შედეგად, ერთობლივად იყოს მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც, ერთი მხრივ, ნაკლებად დააზიანებს ეკონომიკას და ამავდროულად ეფექტური იქნება ვირუსის გავრცელების დინამიკის მართვის თვალსაზრისით. შეხვედრაზე ასევე განიხილეს ჰოსპიტალებში არსებული ვითარება და ის ნაბიჯები, რომელიც კლინიკური სექტორის ეფექტური მართვის მიზნით ხორციელდება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია, კლინიკის მიღმა არ დარჩნენ ის ადამიანები, ვისაც ეს პირველ რიგში სჭირდება.**

ჯანდაცვის მინისტრმა შეხვედრისას განაცხადა, რომ კოვიდსასტუმროებში გაძლიერებულია თერაპიული კომპონენტები, მათ შორის ჟანგბადის კონცენტრატორებით აღჭურვის თვალსაზრისით და მათ მართავენ კონკრეტული კლინიკები საკუთარი მედპერსონალის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს პაციენტების უფრო მარტივ წვდომას საჭირო სამედიცინო მომსახურებაზე. მსუბუქი შემთხვევები კი მკურნალობას ბინაზე, ოჯახის ექიმთან აქტიური კონსულტაციით განაგრძობენ. ამასთან, პრემიერ-მინისტრის დავალებით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს დამატებით რეანიმაციული და ინტენსიური საწოლების მობილიზების კუთხით. საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ ქვეყანა ვირუსის გავრცელების პიკში შედის და არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა რთული, თუმცა მართვადია და კონტროლს ექვემდებარება.

ამასთან, **კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის პირბადის ტარებისა და სოციალური დისტანციის დაცვის მნიშვნელობას, რისი კონტროლიც შესაბამისი უწყებების მხრიდან კიდევ უფრო გამკაცრდება. საკოორდინაციო საბჭომ ასევე იმსჯელა ვაქცინაციის ეტაპისთვის მოსამზადებელ სამუშაოებზე. კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ტრანსპორტირებისა და შენახვისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მომზადებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.**

**ქვეყანაში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 111 818 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 92 215 პირი გამოჯანმრთელდა. გარდაცვლილია 1051 ადამიანი. ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 2102 ადამიანი, კოვიდსასტუმროებში — 3739 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ — 6192 პირი.**

# სისტემური ჩაკეტვა არ იქნება!

დღეის მდგომარეობით შეზღუდვებთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიგვიღია, — ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა უწყებათაშორისი საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



მისი თქმით, მედიასაშუალებებით მოსახლეობაში ვრცელდებოდა არასწორი ინფორმაცია, თითქოს გუშინ ან დღეს მთავრობა სისტემურ ჩაკეტვებს გამოაცხადებდა. **„კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ ასეთი ტიპის გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ არის მიღებული“,** — აღნიშნა მინისტრმა. მაია ცქიტიშვილის განცხადებით, ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც ფართო კონსულაციების გზით მიიღება, რასაც მთავრობა უკვე აქტიურად ახორციელებს. **„განვიხილავთ ისეთი ტიპის შეზუდვებს, რაც ზოგადად ყველა ქვეყანაში გამოიყენება ეპიდემიოლოგიური ვითარების მართვისთვის. ყველაზე ეფექტიანი საშუალება კვლავ არის პირბადე და სოციალური დისტანცია“,** — განმარტა მინისტრმა.

## ვინ მოუვლის ამდენ მტერს?!



# ჩვენს სიჩუმესაც და მოთმინებასაც აქვს საზღვარი!..




**მაქვს კითხვა თბილისის მერთან.**

**ბატონო კახა, თქვენ იცავთ საზოგადოების მცირე ნაწილის „თავისუფლების უფლებას“ საზოგადოების უდიდესი ნაწილის ხარჯზე! არ შეიძლება ნებართვის გაცემა მიტინგებზე, შეკრებებზე, დედაქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე, სამთავრობო რეზიდენციებთან, რამდენიმე საათით ქალაქის მაცოცხლებელი არტერიის გადაკეტვა. თბილისელთა მნიშვნელოვან ნაწილს ექმნება დისკომფორტი, სასწრაფო დახმარებას და სახანძრო სამსახურებს პრობლემები — უმძიმესი შედეგებით. მათთვის ხომ ყოველი წუთი სიცოცხლის გადარჩენაა. გინახავთ ოდესმე მიტინგი მავზოლეუმთან, ვერსალის სასახლესთან.?! ინგლისის დედოფლის რეზიდენციას მაღალი ღობე იცავს. დროა, მოვრჩეთ კეკლუცობას დემოკრატიასთან! რატომ ვართ რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკეები?**

ბატონო კახა, ასევე მინდა გაგება, მხოლოდ 8 ნოემბრის მიტინგზე გაეცით ნებართვა, თუ მთელი თვით, იქნებ წლის ბოლომდე, თუ ამისთვის საკმარისია ოპოზიციის სურვილი. ბარემ იქნებ უფრო მაღალი დემოკრატიისთვის გაუ-ლოთ მომიტინგეებს პარლამენტის ეზოს ჭიშკრები, დარბაზებიც.

დავარქვათ ბარემ რუსთაველის გამზირს მიტინგების გამზირი.

მიტინგებისთვის უნდა გამოიყოს ადგილი ქალაქგარეთ, კეთილმოეწყოს აუცილებელი ინფრასტრუქტურით, მოძრავი კვების ურიკებით და სხვა.

კიდევ ერთი კითხვა, რამდენადაც ვიცი, მერიამ 8 ნოემბრის მიტინგზე ნებართვა გასცა 20 საათამდე. რატომ არ გამორთეს საღამოს 20.00 საათზე გახმოვანების სისტემა? ეს ხომ კანონიერი იქნებოდა!.

პოზიცია-ოპოზიცია, საქართველოს მოსახლეობის, ალბათ, 5 პროცენტი ხართ. მოგვეცით საშუალება ნორმალური შრომის და ცხოვრების. ჩვენი სიჩუმე სრულებითაც არ ნიშნავს გულგრილობას ქვეყნის ბედზე.

სიჩუმესაც აქვს მოთმინების საზღვარი.

**ვახტანგ დავითაია,**
**რიგითი ამომრჩეველი**



**P.S.** **ბატონო კახა, მოგიწოდებთ, ჩაატაროთ ბლიცრეფერენდუმი დედაქალაქში ამ საკითხზე. დარწმუნებული ვარ, თბილისელთა ასი პროცენტი უარს იტყვის ქალაქის „სტრატეგიულ“ ადგილებში მიტინგობანაზე. ამით ერთხელ და სამუდამოდ დაიხურება ეს საკითხი.**

**ვ. დ.**

# რატომ „სძინავს“ თბილისს?




**სადეპუტატო სავარძლების გადანაწილება პოლიტიკური სპექტრის დღის წესრიგის ლამის ერთადერთ საკითხადაა ქცეული. პოლიტიკოსებს მედიაც აჰყვა — და აღარც ერთი, აღარც მეორე ვერ „იცლის“ იმ ტექტონური ძვრებისთვის, რომლებიც ქვეყნის ირგლივ ხდება, — თბილისს ამ მხრივ თითქოს „სძინავს“. არადა, ეს ძვრები საქართველოზეც ახდენს წარმოუდგენლად დიდ გავლენას და სულ მალე, მაღალი ალბათობით, შესაძლოა, უპირველესად, ტერიტორიული მთლიანობის საკითხებთან მიმართებაში აისახოს. ჩემი მიზანი ნამდვილად არ არის, ვინმე შევაშინო, ისედაც მძიმე ვითარებაში პანიკა ვთესო, მკითხველში დეპრესია ვაღრმავო ან ვინმეს მიმართ აგრესია გამოვიწვიო. მაგრამ რეალურ რისკებზე საქართველოს უკვე მთელი რიგი უცხოელი ექსპერტები მიუთითებენ და თუ კარს მომდგარი საფრთხეების თავიდან აცილება გვსურს, უნდა „გავიღვიძოთ“.**

ასე, მაგალითად, პოლიტოლოგი, კავკასიის საკითხთა სპეციალისტი ავრაამ შმულევიჩი თვლის, რომ საქართველოს ოკუპირებული რეგიონი — აფხაზეთი უახლოეს ხანებში შესაძლოა, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების პლაცდარმად იქცეს. ამ კონტექსტში იგი აფხაზეთში ყარაბაღიდან დევნილი სომხების ჩასახლებისა და ოკუპირებული რეგიონის ტერიტორიის გავლით რუსეთ-სომხეთის სარკინიგზო კავშირის — ე.წ. აფხაზური რკინიგზის ამოქმედების რეალურ შესაძლებლობაზე მიუთითებს: **„საკითხი, რომელიც ადრეც არაერთგზის წამოჭრილა — აფხაზეთის ტერიტორის გავლით სომხეთისკენ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ძალზე ხელსაყრელი იქნებოდა მოსკოვისთვის: ამით რუსეთი მიიღებდა გარანტირებულ წვდომას სომხეთზე საქართველოს ტერიტორიის გავლით. და ამ თვალსაზრისით აფხაზეთში (სადაც ისედაც საკმაოდ დიდი სომხური დიასპორაა) სომხური მოსახლეობის ერთბაშად მნიშვნელოვნად გაზრდა კარგი ბერკეტი იქნებოდა რკინიგზის საკითხის დადებითად გადაწყვეტის მისაღწევად“. რაც შეეხება ქართველი საზოგადოების მოსალოდნელ პროტესტს, პოლიტოლოგი მიუთითებს მოსკოვის დიდ გამოცდილებაზე, მისთვის საჭირო საკითხები საზოგადოებრიობის „თვალის ასახვევად“ შესაბამისად „შეფუთოს“: „ეს შეიძლება, გაკეთდეს რაიმე საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებით, რკინიგზისთვის რაიმე საერთაშორისო სტატუსის მინიჭებით — ვთქვათ, ამ საქმეში სომხეთის ან თურქეთის „ჩართვით“ და ა.შ., ისე, რომ ამ ხაზზე ტვირთების გადაზიდვა ქართველი მესაზღვრეების კონტროლის გარეშე წარმოებდეს“.**

ამასთან, მისი აზრით, ე.წ. აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედება შეიძლება, ხელსაყრელი იყოს თურქეთისთვისაც: **„თუ გაიხსნება დერეფანი ნახჭევანის გავლით, გამოვა, რომ თურქეთი სატრანსპორტო ხაზ „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ (უმოკლესი გზა ჩრდილოეთის — სამხრეთთან, აზიის ევროპასთან დასაკავშირებლად — რედ.) დასაწყისშია, ანკარას კი, როგორც ვიცით, პრეტენზია აქვს, ერთგვარი სატრანსპორტო ჰაბი იყოს და ამ თვალსაზრისით ე.წ. აფხაზური რკინიგზის ამოქმედება მისთვისაც ხელსაყრელი იქნებოდა“.**

ამავდროულად, პოლიტოლოგი მიუთითებს მოსკოვის საჭიროებაზე, წინააღმდეგობა გაუწიოს თურქეთს, რომელიც ახლა შავი ზღვის რეგიონში აქტივობას ზრდის: **„მანამდეც ცნობილი იყო, ყარაბაღის II ომმა კი საბოლოოდ გამოააშკარავა, რომ თურქეთმა განდევნა რუსული გავლენა აზერბაიჯანიდან და მოსკოვს ამჟამად თავისი გავლენის აღსადგენად არანაირი ხელშესახები ბერკეტი არ გააჩნია. ამასთანავე, უკვე ნათელია, რომ გაიზრდება თურქეთის გავლენა თბილისზეც და ზოგადადაც, თურქეთი ამიერკავკასიაში აქტიურდება. თურქეთს გააჩნია ბერკეტები, მათ შორის, აფხაზეთზე ზემოქმედებისთვის (ეს არის, უპირველესად, აფხაზური დიასპორა თურქეთში, ასევე ის გარემოება, რომ თურქეთი, რუსეთის შემდეგ მეორე სავაჭრო პარტნიორია აფხაზეთისთვის) და ამ მხრივ აფხაზეთში უკიდურესად ანტითურქულად განწყობილი სომხების დამატებითი რაოდენობის გამოჩენა რუსეთისთვის სოხუმზე თურქული გავლენის კომპენსირების ერთგვარი შესაძლებლობა იქნებოდა“.**

და პრეზიდენტ პუტინის მიერ აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერ ასლან ბჟანიასთან სოჭის ამაწინანდელ შეხვედრაზე გაკეთებული განცხადება („რუსეთი აფხაზეთისთვის №1 პარტნიორად რჩება, ხოლო ახალი სამხედრო-პოლიტიკური რეალობისა და ამიერკავკასიაში თურქეთის მოსალოდნელი სამხედრო წარმომადგენლობის გათვალისწინებით, აფხაზეთი რუსეთის სამხედრო ფორპოსტად და რუსეთის საზღვრებთან სანიტარიულ ზონად იქცევაო“) ალბათ, შმულევიჩის მოსაზრების დასტურად უნდა ჩაითვალოს.

აქ მკითხველს ამონარიდს შევახსენებ აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ლიდერების მიერ ყარაბაღის მეორე ომის დასრულების შესახებ ხელმოწერილი სამმხრივი განცხადებიდან: **„რეგიონში ყველა სატრანსპორტო და ეკონომიკური კავშირი განიბლოკება“ და „კონტროლს სატრანსპორტო კავშირზე რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს ორგანოები განახორციელებენო“.**

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ კი პუტინთან შეხვედრის შემდეგ სოხუმში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ყარაბაღის მეორე ომმა „ძალიან ბევრი რამ შეცვალა და კიდევ შეცვლის“, რომ მან პუტინთან რკინიგზის თემაზეც ისაუბრა, რომ “შესაბამისი პირობების შემთხვევაში ეს შესაძლებელია“ და რომ „უახლოეს ხანებში მხარეები ამ საკითხს დაუბრუნდებიან“. ამასთან, ბჟანიამ მიანიშნა იმაზეც, რომ მოსკოვს თბილისისგან თახმობა უკვე მიღებული აქვს.

**თუ ეს ასეა, გამოდის, რომ სანამ მთელ დანარჩენ საქართველოს „სძინავს“, ძლიერნი ამა ქვეყნისანი კულუარულად სთანხმდებიან მოსკოვს ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებში?**

უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე არაოფიციალური ინფორმაცია თბილისის მიერ ე.წ. აფხაზური რკინიზგის ამოქმედებაზე თანხმობის გაცემის შესახებ ქართულ მედიაშიც გავრცელდა. თუმცა საქართველოს ხელისუფლებას კომენტარი არც მაშინ გაუკეთებია, არც ახლა გამოხმაურებია ბჟანიას განცხადებას!

**„აქცენტი“**

## ისევ ფსიქიკურად აჭრილებზე!



„ოპოზიცია რატომღაც იმედოვნებდა, რომ სახელმწიფო ისეთივე სუსტია, როგორც მათ წარმოედგინათ, ანუ როგორც 1991, ან 2003 წელს და ფიქრობდნენ, ამ ისტერიკით სახელმწიფო გადატრიალებას გამოიწვევდნენ“, — აცხადებს ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი.

# ოპოზიციას ერთადერთი რესურსი დარჩა – „გლავკანალი“

**„პარტია, რომელიც მანდატებზე უარს ამბობს, უარს ამბობს იმაზე, რომ საერთოდ პარტიაა!**

**— „ნაცმოძრაობა“ მორიგი ულტიმატუმით გამოდის. თუკი ხელისუფლებასთან მოლაპარაკება ჩაიშლება, „ნაცმოძრაობა“ თავის საარჩევნო სიას გაანულებს. ეს რამდენად შესაძლებელია?**

— არავითარი მექანიზმი საამისოდ არ არსებობს, ასეთ რამეს არც საარჩევნო კოდექსი იცნობს, არც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონი. სიის განულება შეუძლებელია, ცალკეულ დეპუტატებს, ვინც მანდატი მიიღო, შეუძლიათ უარი თქვან თავიანთ უფლებამოსილებაზე და მათ უფლებამოსილება შეუწყდებათ, მაგრამ პარლამენტის უფლებამოსილება სჭირდება ამას, პარლამენტს შეუძლია ეს საკითხი არც განიხილოს. რომც განიხილოს და უფლებამოსილება შეუწყვიტონ, ეს არ ნიშნავს, რომ სია განულდა. ამის შემდეგ მათი ადგილმონაცვლეები უნდა შევიდნენ პარლამენტში. ამ შემთხვევაში კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს: სანამ ადგილმონაცვლეების უფლებამოსილების ცნობა არ მოხდება, სიას ხელს ვერ ახლებენ. სია იკეტება და მასში ცვლილებების შეტანა არ შეიძლება. სიის განულება საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე შეუძლებელია, არ გამოვა და არც უნდა გამოვიდეს, რადგან ლოგიკას მოკლებულია. პარტია იმისთვის არსებობს, რომ ჯერ მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყოს და შემდეგ ეს ნება გამოხატოს და ასახოს პოლიტიკაში. პარტიის დანიშნულება ეს არის. პარტია, რომელიც მანდატებზე უარს ამბობს, უარს ამბობს, რომ საერთოდ პარტიაა, ანუ არსებითად რასაც უნდა წარმოადგენდეს, იმას ეწინააღმდეგება.

თუ ოპოზიცია აპირებს, დაუპირისპირდეს ოფიციალურ სტრუქტურებს და ამტკიცოს, რომ საქართველოში არავითარი ინსტიტუცია არ არის და შექმნას კონტრძალაუფლება, რასაც ამბობდა თემურ ალასანია პარალელური მთავრობის შესახებ, ეს რასაკვირველია, არის პირდაპირი ამბოხი სახელმწიფოს წინააღმდეგ და დასჯადია, თუ ეს ყველაფერი მოქმედებებში გადადის. **ეს არ არის არც 1991 წელი,** რომ ვინმეს პუტჩი გაუვიდეს, ან შეიარაღებული ამბოხი მოაწყოს, **არც 2003 წელი, რომ ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ მოხდეს. სინამდვილეში, „ვარდების რევოლუცია“ რა იყო? ეს იყო მოქალაქეთა რაღაც ნაწილის შევარდნა პარლამენტში და გადატრიალება. ეს დღეს შეუძლებელია. ოპოზიციის მტკიცების მიუხედავად, სახელმწიფო დღეს ინსტიტუციონალიზებულია, ყველა ძალისმიერი საშუალება მონოპოლიზებულია, ძალაუფლების განხორციელების ყველა საშუალება სახელმწიფოს ხელშია და სახელმწიფოს გარდა არავის არ აქვს ძალის გამოყენების უფლება.** თუ ისინი რამენაირად დაუპირისპირდებიან სახელმწიფოს იმ დემაგოგიით, რაც ახლაა, მათთვის შედეგი ძალიან მძიმე იქნება. მათ ეს იციან, მაგრამ ახლა შანტაჟის გზას ადგანან. პატარა ბავშვებივით ფეხებს აბაკუნებენ, ისტერიკაში არიან. რასაკვირველია, ამაზე პასუხი იქნება ძალიან მკაფიო და უარყოფითი. რომელ ხელახალ არჩევნებზე ლაპარაკობენ, როცა ერთმა მილიონმა ადამიანმა პირველ ტურში „ოცნებას“ მისცა ხმა, ნახევარმა მილიონმა კი — მეორე ტურში. ჩვენ რა, ადამიანები არ ვართ? როგორ შეიძლება, ვინმემ ჩვენი არჩევანი შეცვალოს ისტერიკითა და შანტაჟით?

**— ირაკლი კობახიძე ოპოზიციის ბოიკოტს ნაკლებად განვითარებულ პოლიტიკურ კულტურას უკავშირებს, მაგრამ, ამავდროულად, ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ოპოზიციონრები ისეთი კატეგორიულები იყვნენ თავიდან, ახლა რომ შევიდნენ პარლამენტში, უკვე უთავმოყვარეობა იქნება...**

— უთავმოყვარეობასა და თავმოყვარეობაზე არ არის საუბარი, აქ ლაპარაკია, რომ არსებობს სამართალი და დემოკრატიული პროცესი, სადაც ამომრჩევლის ნება უზენაესია და არავის აქვს უფლება, კრიჭაში ჩაუდგეს ამას. ვისი ბრალი იყო, რომ იმთავითვე ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ? მათივე ბრალი იყო და ახლა, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა აგონ ამ უპასუხისმგებლობაზე.

**— ეტყობა, რაღაც მოლოდინი ჰქონდათ, თორემ პარლამენტში შესვლას, ალბათ, ოპოზიციის ნაწილი მაინც დათანხმდებოდა.**

— მათ ჰქონდათ არა მოლოდინი, არამედ იმედი, რომ სახელმწიფო ისეთივე სუსტია, როგორც მათ წარმოედგინათ, ანუ როგორც 1991 წელს, ან 2003-ში და ფიქრობდნენ ამ ისტერიკით სახელმწიფო გადატრიალებას გამოიწვევდნენ. ეს არ მოხდება. საერთაშორისო ვითარება აბსოლუტურად შეცვლილია. მათ მხარდამჭერი არც საერთაშორისო არენაზე არ ჰყავთ, თვით მათი მოკავშირე „ევროპის სახალხო პარტიაც“ კი ამას მხარს არ დაუჭერს. ამას მხარს არ უჭერს ქართველი ხალხი, ჩვენი სახელმწიფო ყველანაირად წინააღმდეგობას გაუწევს., საერთაშორისო მხარდაჭერა არ აქვთ და ახლა თავმოყვარეობის გამო რაც არ უნდა გააკეთონ, ეს არაფერს შეცვლის.

**— პოლიტიკოსისთვის მაინც შეუცვლელია საპარლამენტო ტრიბუნა, ქუჩიდან ვერ იმართება პროცესები, მით უმეტეს, კორონაპანდემიის დროს, მაშინ რა რესურსი დარჩა ოპოზიციას?**



— მათი რესურსია კონტრძალაუფლება და „გლავკანალი“. ეს არის მათი ტრიბუნა. წვრილ-წვრილი პარტიები მაგით ჰყავთ დაბმული, ტრიბუნა გექნებათ ტელევიზიაშიო, არა მარტო საინფორმაციო ოკუპაციაა ეს, არამედ კონტრძალაუფლებაა და ინკვიზიციის სტილში მოქმედებენ. რასაც გვარამია ამბობს, თურმე ის არის უზენაესი ჭეშმარიტება. არჩევნები გაყალბდაო, პირველად მაგან თქვა, როგორც დიდი ინკვიზიტორი იტყოდა. სასამართლო სისტემა შეჯიბრებითობაზეა აგებული, ითქმება პრო და კონტრ არგუმენტები. ინკვიზიციის დროს კი ეს არ დაიშვება. მათ ინკვიზიციური სამართალი, ინკვიზიციური ხედვა აქვთ, ჭეშმარიტების ერთადერთი საზომია გვარამიას სიტყვა, გვარამიას კვერი უნდა უკრან, რადგან ის ტრიბუნაც არ ექნებათ. თუ განსხვავებულ აზრს იტყვიან, მაშინვე მოკვეთავენ. რითი დამთავრდება ეს? არაფრით. სულ გაგიჟდებიან!

**— თქვენ თავიდანვე აცხადებდით, თუ ოპოზიცია არ შევა პარლამენტში, მაშინ საარჩევნო სიის მომდევნო პირები, ანუ ადგილმონაცვლეები შევლენო. ეს ნიშნავს, რომ საბოლოოდ მოიგუდება ოპოზიცია?**

— პროცედურული ცირკის მოწმენი გავხდებით, თუ არავითარი შეთანხმება არ მოხდა. ციკლურად რაღაც ნაწილი შევა პარლამენტში, მათ მერე განცხადება უნდა დაწერონ და მანდატზე უარი თქვან, ამის მერე კიდევ მომდევნო ნაწილი შევა და ასე გაგრძელდება, სანამ სია არ ამოიწურება. ყველაზე სასაცილო მდგომარეობაში იქნება შალვა ნათელაშვილი. რაც უფრო ცოტაა მიღებული მანდატების რაოდენობა და სია გრძელია, ციკლი მით უფრო გრძელი იქნება. ნათელაშვილს 169 კაცი ჰყავს სიაში, ეს ნიშნავს, რომ 169-ვე კაცმა მორიგეობით, რიგრიგობით, ციკლურად უარი უნდა თქვას მანდატზე. ჯერ შალიკომ უნდა თქვას უარი, ამის შემდეგ მეორე ნომერმა, თუ არ ვცდები, გიორგი გუგავამ და მერე 168 გუგავამ. ყველა მათგანმა უარი უნდა თქვას პარლამენტში შესვლაზე. ამას დრო სჭირდება. ცესკო ვალდებულია, 15 დღე ელოდოს, რათა პარლამენტის წევრმა თანხმობა თქვას მანდატზე და შევიდეს პარლამენტში. თუ ის თანხმობას არ მისცემს, უფლებამონაცვლე გახდება მისი შემდგომი. 15 დღე 168-ზე რომ გაამრავლოთ, 7 წელიწადი გამოვა. 7 წელი ამას უნდა ვუყუროთ? ეს ნიშნავს, რომ საბოლოოდ თავს გაიმასხრებენ.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

## მეუფე იაკობი: არჩევნებმა უნდა გაგვაერთიანოს, კი არ უნდა გაგვყოს!!!



**არჩევნებმა უნდა გაგვაერთიანოს, კი არ უნდა გაგვყოს. თუ გარეთ ვერ ვპოულობთ გამოსავალს, მარტო უცხოელებთან მისვლა არ არის საკმარისი, შეუძლიათ ჩვენთანაც მოვიდნენ,** — ამის შესახებ ბოდბელმა ეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა ქადაგებისას განაცხადა. მისივე თქმით, ეკლესია არის ის ადგილი, სადაც შეიძლება მოხდეს გაერთიანება. მეუფე იაკობის განცხადებით, ეკლესიაში მისვლის სურვილი არც ოპოზიციის და არც ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გამოუთქვამთ.

**„ხომ ხედავენ, რომ არ ჩავრეულვართ არც ერთ მხარეს ამ არჩევნებში. ღმერთმა ყველა დალოცოს და შევთხოვ უფალს, გონიერმა გულმა გაიმარჯვოს ქართველებში. შევხედოთ ირგვლივ რა სიტუაციაა, საბოლოო ჯამში, რაც არ უნდა ვიძახოთ, კარგი გვინდა ქვეყნისთვის, მაინც მტრის წისქვილზე დავასხამთ წყალს. ჩიხური მდგომარეობა, ძალით თუ არ შედიხარ ჩიხში, არ არსებობს. რაღაც გამოსავალი უნდა ვნახოთ. მანამდეც ვამბობდი, რომ რთული იქნებოდა. პირდაპირ ჩანდა საითაც მივდიოდით. ჩვენ ამას შევწირეთ ყველაფერი, ადამიანების ჯანმრთელობა შეეწირა, რომ ჩატარებულიყო არჩევნები. იცით, რომ არჩევნების მერე კი არ გავრცელდა იმიტომ, მანამდეც საკმაოდ გავრცელდა, რადგან სხვადასხვა რეგიონში დადიოდნენ. კარგად გადახედეთ, მაშინ იმატებდა დასნებოვნებულების რიცხვი. ახლაც ხედავთ რა პროცესებია და რაც არ უნდა შეზღუდო, არაფერი გვეშველება, ღმერთმა თუ არ გვიშველა. ადრეც გაგვაფრთხილეს, რამდენი კაცი იყო გარდაცვლილი, წესიერად რომ მოვქცეულიყავით ამდენი მსხვერპლი არ გვექნებოდა. დამნაშავეები ვართ, ეს რომ ხდება“,** — განაცხადა მეუფე იაკობმა. მისი თქმით, ქართველების ასე გაყოფა არ შეიძლება

**„ვინც არ უნდა ყოფდეს, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენი მტრების საქმეს აკეთებენ. რატომ უნდა ხედავდნენ უცხო ქვეყნები ეკლესიის როლს? ჩამოვიდნენ, ნახეს ხელისუფლების წარმომადგენლები, ეს აუცილებელია, როცა ქვეყანაში ჩიხდება, მაგრამ ჩვენთან, ეკლესიაში განსაკუთრებული შეხვედრა ჰქონდათ ამერიკელებს. თვითონაც ხედავთ, როგორ განცხადებებს აკეთებენ, ჩვენს ტრადიციებს აფასებენ. ჩვენი ეკლესიის როლს აფასებენ ამ ტრადიციების დაცვაში. ზოგს შეიძლება არ მოსწონდეს, მაგრამ ჩვენ ძველი დროიდან ვარსებობთ და ახლა ყოველ 15 წუთში ვერ შევიცვლით ჩვენს აზრებს და ცხოვრების წესს. მინდა ერმა იცოდეს, არც ერთ მხარეს არ გამოუთქვამს სურვილი ჩვენთან მოსვლის. ჩვენთან არავინ მოსულა პოზიციიდან თუ ოპოზიციიდან. ვისურვებდი, პოლიტიკოსები ისე მოქცეულიყვნენ, რომ საქართველო გაიმარჯვოს. საქართველო ჩვენი საერთო სახლია და ნუ დავასუსტებთ. ერთმანეთს ნუ ვეომებით და ნუ ვჩხუბობთ. გამოსავალი უნდა ვნახოთ საქართველოს საკეთილდღეოდ“,** — განაცხადა მეუფე იაკობმა.

# ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა...




**მარაზმში გადაზრდილმა წინასაარჩევნო პოლიტიკურმა პროცესებმა მთელი სიგრძე-სიგანით წარმოაჩინა ე. წ. ქუჩის ფენომენი, რომელიც უკვე ათეული წლებია უკურნებელ სენად ექცა დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოს.**

უძველესი პროფესიის ადამიანები, კურტიზანები, მეძავები და, კიდევ ვინ მოთვლის, როგორ არ ნათლავდნენ საზოგადოება თუ მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსები გზასაცდენილ, გარყვნილების მორევში ჩაძირულ, მათივე შედევრებით უკვდავყოფილ სხეულით მოვაჭრე პერსონაჟებს.

ბუნებრივია, აღნიშნულ ზოგადსაკაცობრიო იდეალს, საუკუნეების განმავლობაში, ჩვენი თანამემამულენიც უწყობენ ფეხს, თანაც — საკმაოდ ღირსეულად, თუ შეიძლება დასახელებული ჭაობი ღირსებას მივუსადაგოთ, მაგრამ, როგორც გვჩვევია, დოგმებს ამ შემთხვევაშიც არ დავემორჩილეთ და კარვის ქალებად ტრანსფორმირებულმა ქუჩის ქალებმა, „მდედრიონად“ რომ დამკვიდრდნენ უახლოესი წარსულის შემფასებელთა ლექსიკონში, რაც დამართეს პირველ პრეზიდენტსა და ახალფეხადგმულ სახელმწიფოს, მშვენივრად მოგეხსენებათ. სხვათა შორის, მათ ნაკაიქალარს დღემდე ვიმკით და კაცმა არ იცის მაშინდელი ნათელი კვალისგან წელში როდისღა გავიმართებით.

გენდერული ბალანსის დარღვევა რომ არ დაგვწამონ, ქუჩის კაცებსა და უბნის ბიჭებსაც ნუ დავუკარგავთ ღვაწლს, ათადან და ბაბადან მოყოლებული, ქალაქში სამართლიანობისთვის ხარკის გადახდას არცთუ წარუმატებლად რომ ცდილობდნენ და ცდილობენ დღესაც, რასაკვირველია, საკუთარი სამრეკლოდან. რა თქმა უნდა, სინონიმი, გარკვეულწილად, ძველ ბიჭებსაც მოეძებნათ და ამჟამად ისინი მომიტინგე პროტესტანტებად გვევლინებიან, რაშიც ზოგიერთი ცხელი თავის ტერმინოლოგიაც დაგარწმუნებთ.

როცა ქუჩის კაცებზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით მათ შორისაც კი დადებული პირობის ერთგულებით გამორჩეულ სიტყვის კაცებს. სამწუხაროა, რომ ნაციონალურმა უძრაობამ და მის კალთას გერებივით შეფარებულმა ბუტაფორიულმა პარტიებმა თუ არა (ანტი) სამთავრობოებმა ამ მხრივ საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის წინ აგორებული ბინძური კამპანიის დროსაც ივაჟკაცეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, წინა დღით დიდი ამბით გაპიარებული სიტყვა გატეხეს. ვგულისხმობთ ხმის მიცემის პროცედურისადმი გამოცხადებულ სრულ ბოიკოტს, რაც დაირღვა როგორც თბილისში (ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრთან ბიჭ-ბუჭების მივარდნა და სასტვენებით კაკაფონიის შექმნა), ისე ზუგდიდსა (საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მანქანისათვის შუშების ჩამსხვრევა) და ბათუმში, სადაც ულამაზეს ახალ სტადიონზე გამართული გახსნის მატჩის პარალელურად პროვოკატორთა მცირერიცხოვანი ჯგუფი უცენზურო სიტყვებით გაუმასპინძლდა აჭარის ცესკო-ს წარმომადგენლებს. თუმცა, ვირისგან წიხლი რა საწყენია?!

კი ბატონო, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ქუჩის ფეხბურთის მცნებამ რა დაგიშავათო — დაინტერესდება გულშემატკივარი და მართალიც იქნება, მით უმეტეს მაშინ, როცა სულ უფრო ხშირად გვესმის კითხვა — რა უნდათ სპორტსმენებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიო, თითქოს დეპუტატის მანდატით აღჭურვილი მოქმედი პოლიტიკოსები, ეკონომისტები და იურისტები პროფესიონალიზმითა თუ მამულიშვილობით კოლეგებს წინა მოწვევების პარლამენტიდან რაიმეთი სჯობდნენ.

მაგრამ, განა მარტო, ასე ვთქვათ, პოლიტიკური აგრესიულობის გამოხატვას სჯერდებიან თავიანთ საქმეში ხელმოცარული ცნობადი სახეები, რომლებიც შემოქმედებით კრიზისს მხოლოდ კორონავირუსის პანდემიას აბრალებენ.

მას შემდეგ, რაც ეროვნულად წოდებულმა ვაინაკრებმა ერთა ლიგის ფინიშზე შეგვარცხვინა, თითქოს პირი შეკრესო, შოუ-ბიზნესის რამდენიმე წარმომადგენელმა ქართული ფეხბურთისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების ნაწილის მათკენ გადამისამართება მოითხოვა!

კიდევ კარგი, ყველას მდუღარე თავში არ იხარშება ასეთი გოიმური აზრები.

ბატონებო, იმის ნაცვლად, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად ხალხის საყვარელი სახეობის დაფინანსების გაზრდაზე ფიქრობდეთ, როგორ ბედავთ, მის სეკვესტრირებაზე მკრეხელური პოზიციის საჯაროდ გამოთქმას?

თუმცა, რა გასაკვირია — ენას ხომ ძვალი არა აქვს და... ნამუსიც ხომ კარგი საქონელია!

**გია პლატონიშვილი**

**მინაწერი: თითქოს კაპიტულაციაზე ხელისმომწერი ჟოპოზიცია მეორე ტურში ბრძოლის ველიდან კურდღლებივით გაძურწვის შემდეგ ხმას ველარ უნდა იღებდეს, მაგრამ ხომ იცით, როგორ უტიფრებთან გვაქვს საქმე?**

**აი, მაგალითად, გამოხტა პოლიტიკური მორგიდან ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოთრეული ლევან ბერძენიშვილი და ყველას, ვინც ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა, საკუთარი საკანალიზაციო საინფორმაციო ღრუთი ავადმყოფები უწოდა.**

**ხომ გსმენიათ, კოკასა შიგან რაცა სდგას... ჰოდა, ურეიტინგო რესპუბლიკელთა ნოლპროცენტიან დამფუძნებელს ავადმყოფების მოძებნას თავისსავე პარტიასა და ოჯახში ვურჩევთ. მე თქვენ გეტყვით და პოვნა გაუჭირდება.**

**გ. პ.**

# გაფარჩაკებული ოპოზიციის მიერ შექმნილი აბსურდული სინამდვილე!

(პირველი გვერდიდან)

ერთადერთი პარტია და ერთადერთი ფრაქცია — ასეთი იქნება მე-10 მოწვევის პარლამენტის რეალობა, თუკი ოპოზიცია პარლამენტში არ შევა.

როგორც რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების ერთ-ერთმა ავტორმა, გიორგი კახიანმა უთხრა რადიო თავისუფლებას, მომავალ პარლამენტში„**აღარ იქნება უმრავლესობის ლიდერის თანამდებობა და არც რამდენიმე ფრაქციის შექმნა იქნება შესაძლებელი. ამის ნაცვლად შემოღებულია ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობები გაზრდილი უფლებებით“**.

თუკი ოპოზიცია პარლამენტში შევიდოდა, თითოეულ პარტიას შესაძლებლობა ექნებოდა, რომ მინიმუმ 7 წევრის გაერთიანების გზით დამოუკიდებლად შეექმნა საკუთარი ფრაქცია.

ასეთ შემთხვევაში პარტიას არჩევნებში 5% მაინც უნდა ჰქონოდა აღებული.

პროექტის თავდაპირველ ვარიანტში არ იყო, თუმცა როგორც გიორგი კახიანი გვეუბნება, საბოლოო გადაწყვეტილებით— მანდატების მცირე რაოდენობის მქონე პარტიებს კანონი ნებას რთავს, ფრაქცია ძალების გაერთიანებით შექმნან.

თუმცა რადგან ოპოზიცია პარლამენტში შესვლას არ აპირებს, პარლამენტშიც მხოლოდ ერთი დიდი ფრაქცია იქნება წარმოდგენილი, მაგალითად, **„პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გათვალისწინებით“** ველარ მოხდება ოპოზიციისთვის ადგილების გადანაწილება მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობაში და ეუთოს, ნატოსა თუ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეებში მხოლოდ ამ ერთი ფრაქციის წარმომადგენლები ივლიან.




„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ვერ ხედავენ მომავალი პარლამენტის პარალიზებისა და შეფერხების საფრთხეს, ოპოზიციის იქ არშესვლის შემთხვევაშიც. თუმცა, მაგალითად, პარტიის აღმასრულებელი მდივანი, სიის მესამე ნომერი - ირაკლი კობახიძე ხშირად გამოხატავს რწმენას, რომ ოპოზიცია პარლამენტში შევა და საქართველოს მრავალპარტიული პარლამენტი ეყოლება. მაგრამ თუკი ეს ასე არ მოხდება, მაშინ, კობახიძის აზრით, ოპოზიციის ძალით დატოვებაც შეიძლება!..

**„ეს არის კონსტიტუციაში ჩადებული მექანიზმი შანტაჟის წინააღმდეგ... პროცედურები ისეა გაწერილი, რომ პარლამენტის ნების გარეშე, ამ შანტაჟს ვერავინ განახორციელებს. თავდაპირველად ხდება 150 დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა, ანუ ყველა შემთხვევაში, რა პოზიციაც არ უნდა ჰქონდეთ შესაბამის დეპუტატებს, 150-ვე დეპუტატი ითვლება დეპუტატად მას შემდეგ, რაც პირველ სხდომაზე 76 დეპუტატი დაადასტურებს მათ უფლებამოსილებას.**

**ამის შემდეგ, თითოეულ დეპუტატს, რა თქმა უნდა, შეუძლია დაწეროს განცხადება პარლამენტიდან გასვლაზე, მაგრამ პარლამენტის გადასაწყვეტია - დაატოვებინებს თუ არა მათ პარლამენტს... პარლამენტს შეუძლია კენჭი არ უყაროს მათ გასვლას პარლამენტიდან“** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ასეთი მიდგომა სასაცილოა ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის. მათთვის ცხადია, რომ ძალადობრივ დეპუტატობას საერთო არაფერი აქვს საქართველოს კონსტიტუციასთან თუ კანონებთან.

პარლამენტის რეგლამენტში კი წერია, რომ:

„პარლამენტის ბიუროს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხი განსახილველად შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. პარლამენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ განიხილოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი“.

ოპოზიცია ახლა მხოლოდ საერთაშორისო ფასილიტატორების შუამავლობით დაწყებული მოლაპარაკებების მესამე რაუნდის მოლოდინშია. სწორედ ამ რაუნდზე მოელიან ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ხელისუფლების კომპრომისულ წინადადებას ვადამდელი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით.

**„ნაკლებად სავარაუდოა, რომ ერთპარტიულმა პარლამენტმა დიდხანს გაძლოს ამჟამინდელ რეალობაში“** — ეუბნება რადიო თავისუფლებას პარტია „ლელოს“ წარმომადგენელი, კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ხმალაძე**. ის ფიქრობს, რომ პარლამენტის მუშაობაში დეპუტატების რიცხვის სიმცირე არცთუ უმნიშვნელო შეფერხებებს წარმოშობს და გარდა ამისა, ჩნდება აბსურდული რეალობა:

„რეგლამენტით, პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს მხოლოდ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან... ე.ი. მნიშვნელოვანია დეპუტატების 2/3-ის (ანუ 100 დეპუტატი) ყოფნა პარლამენტში... და შემდეგ, ოპოზიციის გარეშე დარჩენილ „ქართულ ოცნებას“, ეს 2/3 რომ აღარ ექნება და მხოლოდ 90 დეპუტატი ეყოლება, აქვს კი ისეთ პარლამენტს კანონების მიღების უფლებამოსილება?!“

ვახტანგ ხმალაძის თქმით, ერთპარტიული პარლამენტი, ანუ „ერთი რეჟისორის თეატრი“ საქართველოს ტვირთი გახდება საერთაშორისო თანამეგობრობის თვალშიც და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, სოციალური თუ ეპიდემიოლოგიური პრობლემების ფონზე, ყოველთვის იქნება პოლიტიკური კრიზისის წარმოქმნის ალბათობა... **„პრობლემების ფონზე, ოპოზიციური პარტიებიც ასე მშვიდად ხომ ვერ გაჩერდებიან პარლამენტის გარეთ“...**

**ლელა კუნჭულია,**

**რადიო თავისუფლების ჟურნალისტი 2000 წლიდან**

# ადამიანი იმდენად საშინელი შეთქმულების პირისპირ დგას, რომ უარს ამბობს, დაიჯეროს მისი არსებობა




**ამ „მეორე ტალღასთან“ დაკავშირებით ორი რამ არის საინტერესო, — საიდან იცოდნენ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში ახალი(!) ვირუსის ბუნება, ანუ საიდან იწინასწარმეტყველეს ადრე გაზაფხულზე, რომ „პირველ ტალღას“ შემოდგომაზე აუცილებლად მოყვებოდა მეორეც და, რაც კიდევ უფრო დამაფიქრებელია, საიდან იცოდნენ, რომ ეს ტალღა უფრო მძიმე ფორმით იქნებოდა?!**

ჩვეულებრივ **ცხვირით სუნთქვაზე** არაფერია ნათქვამი არსად, გამოიყოფა თუ არა ვირუსი, საერთოდ. შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც გამოიყოფა ამოსუნთქული ჰაერით, მაგრამ რადგანაც ლაპარაკის დროს გამოყოფილ აეროზოლს თვალითაც მხოლოდ სინათლის სხივის არეკვლის წყალობით ვამჩნევთ, ხოლო ცხვირით სუნთქვის დროს კი (სუნთქვის, და არა დაცემინებისას, ცხადია!) არაფერი მსგავსი არასოდეს არ შეგვიმჩნევია არავის, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ სუნთქვის დროსაც გამოიყოფა ვირუსები, მაშინ ეს უხილავი აეროზოლი 3 მიკრომეტრზე ბევრად მცირე უნდა იყოს და მის ერთ პროცენტსაც კი ვერავითარი პირბადე ვერ დააკავებს. **მაშ, რისთვისღა არის აუცილებელი პირბადის ცხვირზედაც აფარება?** მხოლოდ დაცემინების შემთხვევებისთვის? ალბათ, ჰო, მაგრამ საუკუნეების წინანდელი ჩვეულებაა — დაცემინების დროს, ნებისმიერი ადამიანი (ჯანმრთელიც და არაჯანმრთელიც) თავს აბრუნებს გვერდზე ან ხრის დაბლა და, იმავდროულად, ცხვირსახოცს იფარებს ცხვირზე და, თუკი ვერ ასწრებს მის ამოღებას და შეკავებაც არ შეუძლია, მაშინ ორივე ხელს აიფარებს ხოლმე. „და, თუ ვერ მოასწრო“? ალბათ, მაინც იკითხავს ზოგიერთი, — მაშინ ყველაზე მოკლე, სწრაფი და იოლი გზა არის პირზე გაკეთებული პირბადის ერთი სმით მაღლა აწევა ცხვირზე. თავად დაცემინებას რაც შეეხება, აცემინებს ავადმყოფიც (ზოგჯერ — ხშირად) და ჯანმრთელიც (ძალიან იშვიათად), განსხვავება სიხშირეშია და, ცხადია, ავადმყოფია საშიში, მაგრამ ავადმყოფების 99%, როგორც წესი, ან სახლში მკუნალობს ან — სტაციონარში, და სიცხიანი ადამიანი, მით უფრო, გაფრთხილებული(!), ძალიან იშვიათად გამოდის გარეთ. და კიდევ, კორონავირუსით გამოწვეულ **კოვიდ-19-ს ცემინება არ ახასიათებს!** ხველა — კი, მაგრამ ცემინება — არა! კიდევ ერთი არგუმენტი იმისა, რომ **პირბადის ცხვირზედაც აფარებას აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს!!** აბა, რა მოსაზრებით (თუნდაც, რა უფლებით!) ითხოვენ ყველასგან პირბადით ცხვირის დაფარვასაც? ლამის ყოველ ნახევარ საათში გვახსენებენ: **„პირბადე სრულად უნდა ფარავდეს ცხვირსა და პირს“!** ეს თავის მოტყუებაა მხოლოდ და მძიმე გართულებების — გონების დაკარგვიდან დაწყებული სიკვდილამდე, გამომწვევი!

ავად გასახდომად აუცილებელია ვირუსების რაღაც რაოდენობით (ჯერ განუსაზღვრელი კონცენტრაციით) შესუნთქვა, რისთვისაც სადღაც უნდა მოხდეს მისი დაგროვება, რაც დახურულ და ცუდად განიავებად შენობაშია შესაძლებელი. ვირუსით დაბინძურებულ, აეროზოლებით გაჯერებულ გარემოში, როგორიც მაგალითად, საავადმყოფოა, მხოლოდ სპეციალური რესპირატორი თუ დაგიცავს, მაგრამ ისიც ვირუსის მხოლოდ 95-98 (!) %-ს აკავებს. მოიცათ, მოიცათ! რა გამოდის? სამფენოვანი ერთჯერადი პირბადე, რომელიც 40 თეთრი ღირს და უმაღლესი კატეგორიის, ძვირად ღირებული რესპირატორები — FFP-2 და FFP-3, ერთნაირად ეფექტურებია და ორივე შემთხვევაში 95%-იანი დაცვა გვაქვს გარანტირებული?! მაგრამ, ეს ხომ აბსურდია! და **ამ აბსურდში გვაჯერებენ ყველას, თან გვაიძულებენ უსიტყვოდ დავემორჩილოთ მათ ბრიყვულ და ანტიკონსტიტუციურ დირექტივებს!**

არადა, რა მილიარდები გაკეთდა (და გრძელდება კეთება) პირბადეების ბიზნესზე — 7.8 მილიარდ ადამიანს რამდენი ასეული მილიარდი პირბადე (თუნდაც, — უიაფესი, ერთჯერადი) დასჭირდება თვეების განმავლობაში, ხომ წარმოგიდგენიათ!

ალბათ, უმეტესობას ემახსოვრება — როდესაც დამოუკიდებლობა „მოვიპოვეთ“ და დასავლეთის ყაიდაზე დავიწყეთ ცხოვრება, ეს უპირველესად გადასახადების სფეროს დაეტყო — ყველაფერზე გადასახადი დააწესეს ჩვენმა „მედასავლეთელმა“ რეფორმატორებმა რის გამოც ქართველებმა მწარე ღიმილნარევი ხუმრობა დავიწყეთ: ამათ რომ შეეძლოთ, ჰაერზედაც გადასახადს დაგვიწესებდნენო! გადასახადი არა, მაგრამ იმას კი მიაღწიეს, რომ **თავისუფლად სუნთქვა** შეგვიზღუდეს, ჩვენ გემოზე ველარ ვსუნთქავთ ვერავინ, კანონით აგვიკრძალეს, უფრო სწორად — უკანონო ბრძანებით: როგორც ჩვენ გეუბნებით, ისე უნდა ისუნთქოთ ამიერიდანო! თავისუფლად სუნთქვა, ალბათ, უკვე **დაბადების დღიდან** აგვეკრძალება, დიახ, დაბადებიდან! თავისუფალ და დემოკრატიულ ამერიკაში, სადაც უკვე ორი(!) წლის ასაკიდან იყო სავალდებულო პირბადის ტარება (ინდიანას შტატში, 3 წლიდან — ფლორიდაში), ახლა ეს რეკორდიც მოიხსნა სამშობიარო სახლში! ჩემი თვალით რომ არ მენახა იუთუბზე ვიდეო — საწოლებში ჩაწყობილი ახალშობილი თოთო ბავშვები თავზე წამოცმული სალტეებით და წინ ჩამოფარებული პლასტიკის გამჭვირვალე ეკრანებით (ჩვენთანაც რომ ატარებენ ზოგიერთი მაღაზიის თანამშრომლები, ზუსტად ისეთები), ვერაფრით ვერ დავიჯერებდი! ახალშობილებს აქამდეც წამლავდნენ დაბადებისთანავე უსარგებლო და ზიანის მომტანი ვაქცინებით, ახლა კი ჟანგბადის ნაკლებობას და ნახშირორჟანგის ტოქსიკურ დოზებს „აჩვევენ“! ესეც არ აკმარეს საწყლებს — სოციალური დისტანციის მომიზეზებით **დედას ორი კვირით აცილებენ ახალშობილ პირმშოს!** ახალშობილისთვის, ვერ იგრძნოს დედა გვერდით, ეს დიდი ფსიქოტრავმაა, რომელიც მას მთელი სიცოცხლე გაყვება!

მართალი გითხრათ, **არ ვიცი ადამის მოდგმა, სახელად „გონიერი ადამიანი“, ასე როგორ გამოგვაშტერეს, გამოგვალენჩეს, გამოგვა.....ს!**

ახლა ე.წ. **„სოციალური დისტანცირება“** განვიხილოთ. ეს დისტანცირება სხვადასხვაა სახელმწიფოების და ადგილების მიხედვით — ზოგან 2 მეტრის დაცვაა აუცილებელი, ზოგან — 1მ და 80 სმ-ის (6 ფუტის, აშშ-ში), 1.5 ან 1.0 მეტრის; ავტობუსებში კი, პრაქტიკულად, — არავითარი! ყველაზე უცნაური, უფრო კი, უაზრო დისტანცია მოფიქრებულია ტაქსებისთვის, რასაც არა და არ ცვლის ხელისუფლება და, რომლის დაცვასაც წარმოუდგენელი სიჯიუტით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დღემდე განაგრძობს იგი, — უნდა ვიფიქროთ, „კომპეტენტური“ მედიკოსების რეკომენდაციით. გავიმეორებ კარგა ხნის წინათ დასმულ კითხვებს: რატომ არ შეიძლება ტაქსში სამი ადამიანის, ერთი ოჯახის წევრებისაც კი, გვერდიგვერდ ჯდომა (თვითმფრინავში, ავტობუსში, სულ უცხო მგზავრების კი, — შეიძლება!)? ყველაზე სასაცილო მაინც ის არის, რომ ამ შეზღუდვების შემომღებებს, მგონი ჰგონიათ, რომ ავადმყოფი ადამიანის პირიდან თუ ცხვირიდან ამოფრქვეული ვირუსები მხოლოდ მარჯვნიდან მარცხნივ და — პირიქით მოძრაობენ, და სწორედ ამიტომ, უსაფრთხოების მიზნით აკრძალეს მძღოლის გვერდით ჯდომა; მძღოლის უკანა სავარძელზე ყოფნა კი, თურმე, არც მგზავრისთვის და არც მძღოლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. **მართლა იცინებდი კაცი, ამ იდიოტობას ექვსი თვეა მორჩილად რომ არ ვუყურებდეთ და რომ არ ვიტანდეთ კიდეც!**

**ესპანეთში** ხომ სულ მთლად გაუტიეს — ქუჩაში, ანუ გარეთ, ნებისმიერ ადგილას სიგარეტის წევა აკრძალეს! სულ გამოალენჩეს კაცობრიობა — **ინფოდემიამ პანდემიას აჯობა!** აი, მეორე, „უკეთესი“ მაგალითი: **ახალ ზელანდიაში** საკონცენტრაციო ბანაკებს აშენებენ, სადაც დაცვის ქვეშ მოათავსებენ ყველას, ვისაც კორონავირუსზე ტესტი დადებითი აღმოაჩნდება, იმ ტესტის საფუძველზე, რომელიც მხოლოდ 10 პროცენტშია სარწმუნო! ამის შესახებ თავად პრემიერ-მინისტრმა **ჯესინდა არდერნმა** განაცხადა. გადაირია მსოფლიო, აბა, არ გადაირია?! მაგრამ, არა თავისით, იგი გადარიეს!

**კარანტინზე** — მეცნიერებამ აჩვენა, რომ **პანდემიის შეჩერება კარანტინით არაეფექტურია და** იგი, პირიქით, **ხელს უშლის** ე.წ. **„ჯოგური იმუნიტეტის“** შეძენას. მაგალითად, ნიუ-იორკში ახალი შემთხვევების 84% მოდის იმ ადამიანებზე, რომლებიც სახლში ისხდნენ და გარეთ არ გამოდიოდნენ! გერმანელი ექიმების აზრით, 3-4-კვირიანი იზოლაცია ორჯერ ზრდის ინსულტის და ინფარქტის განვითარების ალბათობას! ტრამპის მრჩეველი (კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებში) **სკოტ ატლასი** (ექსპერტი რადიოლოგიურ მედიცინაში), ეყრდნობა რა დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC) სტატისტიკურ მონაცემებს, აცხადებს, რომ **ბავშვები (!), კორონავირუსით, პრაქტიკულად, არ ავადდებიან** და, რომ სკოლები აუცილებლად უნდა გაიხსნას!

კარანტინთან დაკავშირებით ერთი პატარა ნაწყვეტი უნდა მოვიტანო **ბაკდის** და **რაისის** წიგნიდან: „მოხუცებულ ადამიანებს, განსაკუთრებით, ავადმყოფებს, ყოველთვის სჭირდებათ ვიღაც გვერდით. ვინც საავადმყოფოში მოხვდა, გარდაიცვალა სიმარტოვეში. **არავის არ უნდა სიმარტოვეში სიკვდილი,** საავადმყოფოების ჩაკეტვა არაადამიანურია, ყველაზე დიდი არაადამიანობა, რაც კი პოლიტიკოსებმა მოიმოქმედეს. **საავადმყოფოებთან ჩვენ ვნახეთ, როგორ ტიროდნენ ადამიანები იმიტომ, რომ მათი დედა, მამა, ბებია ან ბაბუა კვდებოდა და მათ კი საავადმყოფოში არ უშვებდნენ. ეს ისეთი ველურობაა, რომ ჩვენ არ გვესმის, როგორ ეგუება საზოგადოება ამას, არადა შეეგუა!** ეს ძალიან, ძალიან საშიშია! და მეორე, ეს ჩვენი ბავშვებია — მათ აიძულებენ იდიოტური, ეშმაკისეული ნიღბების ტარებას! ეს ამორალურია“!

აღსანიშნავია, რომ ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრმა უკან წაიღო თავისი პირვანდელი განცხადებანი, რის საფუძველზეც გუბერნატორებმა **კარანტინი** შემოიღეს და, ახლა ამბობს, რომ **კოვიდის გამომწვევი ვირუსი ზედაპირებიდან არ გადადის, არ ვრცელდება** (ჩვენთან კი, სადეზინფექციო ღონისძიებები ძველებურად გრძელდება, თუმცა, სულ ოდნავ მოტვინეს და ასფალტის და გარედან შენობების დეზინფექციას შეეშვნენ! ხომ დიდი წინსვლაა!), ხოლო გერმანიის ეკონომიკის და განვითარების **მინისტრმა** განაცხადა, რომ **კარანტინი და იზოლაცია მეტ ადამიანს კლავს, ვიდრე კორონავირუსი**. ჯანმოს დირექტორი **გებრეისუსი** ადასტურებს, რომ **კარანტინის და სტრესული მდგომარეობის შედეგად არნახულად იმატა ფსიქიკურმა აშლილობამ მსოფლიოს მასშტაბით**. კარანტინის აქტიურმა მომხრემ, ნიუ-იორკის გუბერნატორმა **კუომომაც** კი დაადასტურა რომ **თვითიზოლაცია უაზრობაა!**

კარანტინთან დაკავშირებით მრავლისმთქმელია ბელარუსის პრეზიდენტ **ლუკაშენკოს** მიერ ტელევიზიით გაცხადებული ფაქტი — მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან მისი **მოსყიდვის მცდელობაზე,** როცა მას **940 (!) მილიონი** დოლარი შესთავაზეს (ლუკაშენკოს განმარტებით — **„ქრთამი“!), მასობრივი ტესტირების, ონლაინ-სწავლების და,** რაც მთავარია, ეკონომიკის გასაჩერებელი **კარანტინის შემოღების** სანაცვლოდ და, რომ არ დაემორჩილა „დემოკრატ“ დასავლეთს, იმიტომაც მოუწყვეს შიდა არეულობა (ბელარუსის მსგავსი საცხოვრებელი პირობები საქართველოში რომ ჰქონდეს მოსახლეობას შექმნილი და ლუკაშენკოსნაირი მმართველი გვყავდეს, რომელიც კბილებით დაიცავდა ქვეყნის ინტერესებს და ხალხს არც მიწას გაუყიდდა, არც წყალს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №155-165

და ბუნებრივ სიმდიდრეებს, დარწმუნებული ვარ, მაშინაც მოხდებოდა „ამბოხი," ოღონდ საპირისპირო მიზნით – ქართველი ლუკაშენკოს არგადადგომის მოთხოვნით!).

სექტემბერში გამოგვიცხადეს, რომ იმათ, ვისაც დაავადების **არავითარი სიმპტომი** არ გააჩნიათ – არც სიცხე აქვთ, არც ხველა-ცემინება და ყელის ტკივილი, არც სუნთქვის გაძნელება და მაჯის აჩქარება, არც კუჭის აშლა და გემოვნების დაკარგვა და თვითგრძნობაც შესანიშნავი აქვთ, მაგრამ კორონაზე ტესტი დადებითი აღმოაჩნდათ, ისინი უსიმპტომო ავადმყოფებად ითვლებიან და, ამიტომ ჯერ **4 დღე საავადმყოფოში** უნდა გაატარონ, ანუ კოვიდიანებში(!), ჯანმოს პროტოკოლით (!) გათვალისწინებული სხვა ანალიზებიც უნდა ჩაგიტაროთ და თუ ყველაფერი წესრიგში იქნა, შემდეგ გადაგიყვანთ **სასტუმროში** და კიდევ **4-დღიან იზოლაციაში** გამყოფებთო. სრულიად ჯანმრთელი ადამიანი, დიდი ალბათობით, მართლაც აიკიდებს კოვიდს (ან სხვა ინფექციას) საავადმყოფოში, დახურულ სივრცეში ავადმყოფების გვერდით 4 დღის განმავლობაში ყოფნის პერიოდში. ეს ერთი მხარე არასწორი ტაქტიკის და მეორეც, – პოპულარული ტრიოდან (ცერცვაძე, გამყრელიძე, იმნაძე) განა რომელიმე იტყვის, რომ პისი-არ ტესტი სპეციფიკურია, რომ დადებითი პასუხი უეჭველად კოვიდ 19-ით დაავადებაზე მეტყველებს? განა არ იციან, რომ ამ ტესტის ცდომილება ძალზე დიდია და პასუხებიც არასარწმუნო! **ლუგარის კვლევითმა(!) ცენტრმა გამოიკვლია ტესტების სანდოობა?**

**დეზობარიერზე** – ფეხსაცმლის ძირებზე ვირუსები შეიძლება იყოს თურმე და, თუ ფეხები კარგად არ დავიწმინდეთ დეზობარიერზე, შეიძლება შენობაში შევიტანოთ, მერე კი, ჩვენ მტერს, – ჩასაფრებული ვირუსები იქიდან გამოძვრებიან და ჩვენ ცხვირ-პირში მათ შემოძრომას რაღა დაუდგება წინ! ეს **კორონა გვირგვინი კი არა, ფიგარო ყოფილა** – ყველგან არის ნებისმიერ ნივთზე, ნებისმიერ ზედაპირზე (მაგიდაზე, წიგნზე და ა.შ.), კედლებზე, ღია მზიან გარემოშიც, პლაჟზედაც (მცხუნვარე მზის ქვეშაც!), ამიტომ **ზღვიდან ამოსულებს ტემპერატურას უზომავდნენ ქობულეთში,** პირბადის მოხსნა კი მხოლოდ ჭამის დროს შეიძლებოდა (რამხელა შეღავათია!). არადა, მრავალრიცხოვანი კვლევები იმაზე მეტყველებენ, რომ **აზრი არა აქვს ზედაპირების დეზინფიცირებას, ხელების გამუდმებით (!) ბანვას, ხელთათმანების და პირბადეების ტარებას! სულ ტყუილადაა დახარჯული უზარმაზარი დრო და სახსრები შენობების და ქუჩების დეზინფექციაზე და კიდევ უამრავ სისულელეზე!**

**ონლაინ სწავლებასაც** უნდა შევეხო ორიოდე სიტყვით, ესეც ხომ ადამიანის უფლებების შეზღუდვაა! ამ დისტანციური სწავლების მიზანი კოვიდისგან ბავშვების დაცვა კი არ არის (ჯანმოს მონაცემებით **ბავშვები, პრაქტიკულად, ავად არ ხდებიან!),** ძირითადი მიზანი მშობლებისთვის არაქათის გამოცლაა, იმ მდგომარეობამდე მიყვანა, როცა ისინი იტყვიან: ოღონდ ეს ჯოჯოხეთი დასრულდეს და, აცრაზედაც თანახმა ვართ და ბავშვების სადმე, იზოლირებულ სპეცდაწესებულებებში მოთავსებაზედაცო! ქანცის გაწყვეტის მეთოდი კი დიდი ხანია, ცნობილია, – ადამიანები, რომლებიც გამუდმებულ ძლიერ სტრესს განიცდიან, გაცილებით ხშირად ავადმყოფობენ. პირველი ფსიქოსომატიკური ექსპერიმენტი შუა საუკუნეების სწავლულმა და ექიმმა, დასავლეთში ავიცენად ცნობილმა **იბნ-სინამ** ჩაატარა მე-11 საუკუნეში. მან ორი ცხვარი მოათავსა ცალ-ცალკე გალიაში და ორივეს ერთნაირად კარგად უვლიდა, ოღონდ, ერთის გვერდით გალიაში მგელი ჩასვა. ამ ცხვარმა დაკარგა მადა, დაავადმყოფდა და მალევე მოკვდა. იმიტომ, რომ ეს მუდმივი და ძლიერი სტრესია, რომელიც (ცუდი გუნება-განწყობა, უძილობა, უმუშევრობა, უიმედობა, მუდმივად ხვალინდელ დღეზე, ლუკმა-პურზე ფიქრი) ადამიანის ჯანმრთელობასაც სპობს. **ვინც უნდა გვაწყნარებდეს, სწორედ ისინი გვამყოფებენ მუდმივ, 24-საათიან სტრესში** (სხვანაირად, ჯანმოდან მიღებული დავალება ფრიადზე არ შესრულდება!): „პირი აიკარით, ცხვირი აიკარით, ხელი არავის ჩამოართვათ, სახეზე ხელი არ მოისვათ, გამუდმებით იბანეთ, ხელთათმანები ჩაიცვით, ფეხსაცმელებს ძირები კარგად გაუწმინდეთ, ყოველ 2-3 საათში პირბადეები იცვალეთ, ბავშვებისთვის პირბადის გაკეთება არ დაგავიწყდეთ, ახლოს არ გაეკაროთ არავის – არც უცნობს და არც ოჯახის წევრს, ხვევნა-კოცნა დაივიწყეთ, მოხუცები სახლში დაამწყვდიეთ, გარეთ არ გაუშვათ, ნებისმიერი თქვენგანი შეიძლება „ჯანმრთელი ავადმყოფი" იყოს, ეკლესიაში სიარული დაგლუპავთ, პირბადის გარეშე თუ ვინმე ნახოთ, გაკიცხეთ, ნამუსზე შეაგდეთ და თუ არ გაჭრის, მიბეგვეთ კიდეც, როგორც ეს ამერიკის ერთ-ერთ თვითმფრინავში მოხდა, როდესაც ერთმა მგზავრმა კატეგორიული უარი განაცხადა პირბადის გაკეთებაზე... მოკლედ, გამუდმებული: „მგელი მოდის, მგელი მოდის...", ანუ „კორონა-კორონა, კორონა-კორონას" ძახილია ბოლოს რომ გვიღებს, გვასუსტებს – ინფექციებისადმი მოწყვლადსაც გვხდის და, იმდენად ფიტავს ჩვენს ფსიქიკას, რომ საქმის არსში ჩაუხედავ ადამიანებს, ანუ უმრავლესობას, იმის თავიც არა აქვს საღად შეაფასოს ვითარება და წინააღმდეგობა გაუწიოს კორონაპანდემიად წოდებულ იმ შემოგდებულ პროცესს, რომელიც უფრო გვათაყვანებს, ვიდრე გვკლავს! და, ყველანაირ სულელურ წესზე, თათარიახნად შექმნილი ვაქცინით აცრაზედაც თანხმობას გვათქმევინებს.

მუშტებით და იდაყვებით **„ხელის ჩამორთმევა"** როგორია, ხომ მაგარი პრევენციული ღონისძიებაა, უკეთესის მოფიქრება ძნელია, თუმცა, ზოგიერთნი ფეხებით (ტერფებით) „მისალმებასაც" გვთავაზობდნენ! კი მაგრამ, სმენია ვინმეს ხელის ჩამორთმევით დაინფიცირებული კოვიდ-19-იანი ავადმყოფი? არა, ხომ? მაშ რისთვისაა საჭირო ასეთი მასკარადები თუ მაიმუნობები? რისთვის და, ისევ და ისევ შიშის, დიდი და გამუდმებული, უწყვეტი შიშის დასათესად და შესანარჩუნებლად, რათა ახლო მომავალში, სადღაც შემოდგომის ბოლოს და ახალი წლის დასაწყისში ვაქცინაციაზე დაგვითანხმონ ყველანი, მთელი მსოფლიო. **ბილ გეიტსის** ნატვრაც ეს არის: **„ჩემი ნატვრა – ეს ვაქცინის 14 მილიარდი დოზაა** (ყოველი ადამიანი ვაქცინირებული უნდა იყოს ორჯერადი ინიექციით სამკვირიანი ინტერვალით – ი.ლ.), **მაგრამ ვაქცინაციაზე ადამიანების დათანხმება არ იქნება ადვილი"**. თან, The Financial Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გვემუქრება კიდეც: **„თქვენ სხვა არჩევანი არ გაქვთ... ნორმალური სიტუაცია აღდგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ თითქმის ყველას ავცრით"!**

სრული წარმოდგენისთვის, მოვიყვან ჩამონათვალს, თუ როგორ ირღვევა „ადამიანის უფლებები „დემოკრატიულ" დასავლეთში: ბლოკპოსტები გზებზე, აეროპორტებში, ავტოსადგურებში: საიდან-სადრატომ, თქვენი საბუთები, ტემპერატურის გაზომვა; ყველა გადაადგილების და კონტაქტების კომპიუტერული თვალთვალი; იზოლაცია, კარანტინი, სოციალური დისტანცირება, პირბადეები; მოგზაურობის აკრძალვა; საკარანტინო საკონცენტრაციო ბანაკების მშენებლობა; თერმული დრონებით თვალთვალი ზემოდან; გეგმები, თუ როგორ გაუძნელონ ცხოვრება ვაქცინაციაზე უარის მთქმელებს; მოგზაურობისთვის სავალდებულო ვაქცინის პასპორტები; იმ ადამიანების და მეწარმეების დაპატიმრება, ვინც ლოკდაუნს არღვევს; ელექტრონული ბრასლეტები კარანტინის დამრღვევთათვის; „ობლავები" არდახურულ ბიზნესებზე და ადამიანებზე საზოგადოებრივ ადგილებში მათი იმ ადგილზე ყოფნის უფლებამოსილების დასადგენად; **ალტერნატიული მოსაზრებების ცენზურა!**

ამ „მეორე ტალღასთან" დაკავშირებით ორი რამ არის საინტერესო, – **საიდან იცოდნენ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში ახალი(!) ვირუსის ბუნება,** ანუ საიდან იწინასწარმეტყველეს ადრე გაზაფხულზე, **რომ „პირველ ტალღას" შემოდგომაზე აუცილებლად მოყვებოდა მეორეც და, რაც კიდევ უფრო დამაფიქრებელია, საიდან იცოდნენ, რომ ეს ტალღა უფრო მძიმე ფორმით იქნებოდა?!**



**იაკობ ლეჟავა,**
(ტელ: 593-55-04-00)

(გაგრძელება იქნება)

## სალონები ჯერჯერობით იმუშავებს




**სალონებთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომუნიკაცია არ გვქონია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შემდეგ დღეებში ამასთან დაკავშირებით არ მივიღოთ გადაწყვეტილება,** – ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ეკატერინე ტიკარაძემ უწყებათაშორისი საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, საკოორდინაციო საბჭოსთვის შეზღუდვების რამდენიმე პაკეტი აქვთ წარდგენილი.

**„საბჭოსთვის რამდენიმე პაკეტი გვაქვს წარდგენილი, რომელიც არის საშუალო, მსუბუქი და ძლიერი, რაც აისახება ინფექციის გავრცელებასთან მიმართებაში. ჩვენი მოთხოვნა დამყარებულია შემდეგზე, სადაც ყველაზე მეტია ინფექციის გავრცელება და ნაკლებადაა შესაძლებელი კონტროლი, თუ რამდენადაა დაცული დისტანცია, ნიღბის ტარება და ასე შემდეგ. ამას ვაქცევთ ყურადღებას. სალონებთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომუნიკაცია არ გვქონია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შემდეგ დღეებში ამასთან დაკავშირებით არ მივიღოთ გადაწყვეტილება ვინაიდან, მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს. საბჭო ერთად იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას",** – აღნიშნა ეკატერინე ტიკარაძემ.

## ჩვენ შევდივართ პიკში და პიკი რამდენ ხანს გაგრძელდება, არ ვიცით!..



**ინფიცირებულთა რაოდენობის კლება ჯერ არ არის. პირიქით, მატებაა და ეს მატება კიდევ გაგრძელდება, რადგან ჩვენ შევდივართ პიკში. პიკი რამდენ ხანს გასტანს, არ ვიცით,** – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ვაშინგტონის უნივერსიტეტის გათვლებით, დეკემბრის პირველი კვირა განსაკუთრებით საყურადღებო იქნება როგორც სიკვდილიანობის, ასევე ინფიცირების ზრდის მიხედვით.

**„მათი პროგნოზით, საქართველომ აუცილებელია, გაამკაცროს არსებული რეგულაციების აღსრულება. ასევე დავამატოთ და გავაფართოვოთ ე.წ. წერტილოვანი შეზღუდვები",** – აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

## პირველ რიგში სამედიცინო პერსონალი აიცრება

**FDA-ამ მისცა გადაუდებელი დასტური რომ COVID19-ის სამკურნალოდ გამოიყენონ მონოკლონურ ანტისხეულებზე დამყარებული კოქტეილი, რომლითაც დონალდ ტრამპს უმკურნალეს, თუმცა ეს იქნება გამოყენებული მცირე მასშტაბით, უფრო დიდი იმედია ვაქცინა,** – ამის შესახებ საკოორდინაციო სხდომის დასრულების შემდეგ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა. მისი ინფორმაციით, უკვე 5-მა ვაქცინამ გაიარა მესამე ფაზის კლინიკური კვლევები და რამდენიმემ საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა.

**„ერთ-ერთია „ფაიზერის" და „ბიოენტეკის" ვაქცინა, მეორე ასევე „მოდერნას" ამერიკული ვაქცინა. ასევე დადასტურდა რომ „ოქსფორდის" და „ასტრაზენეკას" ვაქცინას აქვს მაღალი პრევენცია",** – აღნიშნა გამყრელიძემ.

ვაქცინაციას დეკემბრის მეორე ნახევრიდან რამდენიმე ქვეყანა დაიწყებს. **„მოხდება ვიწრო ჯგუფების აცრა, თუმცა უფრო ფართო ხელმისაწვდომობა ვაქცინაზე იქნება მომავალი წლის გაზაფხულიდან",** – აღნიშნა გამყრელიძემ.

**„ყველა თანხმდება, რომ მაღალი რისკ-ჯგუფია ჩემი კოლეგები. COVID19-ზე პირველ რიგში ყველა ქვეყანაში სამედიცინო პერსონალს აცრიან. იგივე ამერიკის შეერთებული შტატები იწყებს სამედიცინო პერსონალის აცრას, რადგან ყველაზე მოწყვლადი ეს ჯგუფია. მეორე რისკ-ჯგუფი იქნება ხანდაზმულები და ვისაც აქვს თანმხლები დაავადებები. როგორიცაა ფილტვის ობსტრუქციული დაავადებები, დიაბეტი, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. დანარჩენი კიდევ იქნება განხილული, როგორიცაა მოხუცებულთა სახლები, თავშესაფრები და ასე შემდეგ",** – განაცხადა გამყრელიძემ. მისი თქმით, საქართველოსთვის ხელმისაწვდომი იქნება ის ვაქცინა, რომელსაც დასტურს მისცემს მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია.

## კორონავირუსით 55 წლის ექიმი გარდაიცვალა



**ბათუმში კორონავირუსით ინფიცირებული 55 წლის ექიმი ბენო ჭელიძე გარდაიცვალა,** – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში ადასტურებენ. მათივე ინფორმაციით, ექიმი რესპუბლიკურ საავადმყოფოში 20 ნოემბერს შეიყვანეს. მას თანმხლები დაავადებები: მწვავე პნევმონია, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, შოკის სხვა ფორმები, გულის ათეროსკლეროზული დაავადება, მიოკარსიუმის ინფარქტი, არტ. ჰიპერტენზია, გულის ქრ. უკმარისობა და შაქრიანი დიაბეტი ჰქონდა.

**„კაცი რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თერაპიულ დეპარტამენტს ასე უდროოდ გამოგვაკლდა და დაგვეღუპა. ამ ხნის მანძილზე ღირსეულად უძღვებოდა თავის საქმეს, იყო მაღალი დონის სპეციალისტი. მე ვუსამძიმრებ ყველას ამ ტრაგიკული შემთხვევის გამო",** – თქვა რესპუბლიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა. ექიმს კორონავირუსი 19 ნოემბერს დაუდასტურდა, მდგომარეობა კი, გუშინ 23 ნოემბერს დილით დამძიმდა.

## ესპანეთის მეფე თვითიზოლაციაში გადავიდა

**ესპანეთის სამეფო სახლის ცნობით, ესპანეთის მეფეს კოვიდინფიცირებულთან კონტაქტი ჰქონდა. ფილიპე მეექვსის იზოლაციაში გადასვლის შემდგომ, გაუქმებულია დაგეგმილი საჯარო შეხვედრები.**

პანდემიის დაწყებიდან დღემდე, ესპანეთში „კოვიდ-19"-ის მილიონ ხუთასი ათასზე მეტი შემთხვევაა დადასტურებული, მათ შორის 43 131 ინფიცირებული პაციენტი გარდაიცვალა.

# გაიცანით – ჯილ ბაიდენი, აშშ-ის მომავალი პირველი ლედი



**მელანია ტრამპი მთელ მსოფლიოს დახვეწილი ჩაცმულობით დაამახსოვრდა, ახალი პირველი ლედი კი — საზოგადოებრივი რეფორმების მომხრე და აქტივისტია, რომელსაც არაერთი მიღწევა აქვს როგორც სოციალურ, ასევე საგანმანათლებლო სფეროში.**

**მის შესახებ ბევრი რამ უცნობია: გთავაზობთ მთავარ ფაქტებს აშშ-ის მომავალი პირველი ლედის შესახებ:**

### ჯილ ბაიდენი პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორია

**„ჩემი ძირითადი საქმიანობა სწორედ პედაგოგიკაა, ეს არის ჩემი, როგორც პიროვნების მთავარი განმსაზღვრელი“** — განაცხადა მან.

ის სახელმწიფო სკოლაში, საზოგადოებრივ კოლეჯში და მოზარდებისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ასწავლიდა. 2007 წელს, 55 წლის ასაკში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ინგლისური ენის და ლიტერატურის დარგში.

### ბოლო 40 წლის განმავლობაში მუშაობა არც ერთი დღით არ შეუწყვეტია - მაშინაც კი, როდესაც მეორე ლედი იყო

**მცირეხნიანი შესვენება მხოლოდ 1981 წელს ჰქონდა — ქალიშვილის ეშლის დაბადების შემდეგ.**

რამდენიმე წლის შემდეგ, მხოლოდ 2020 წელს, მეუღლესთან საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მიღებისთვის, შვებულება აიღო. არჩევნების დასრულების შემდეგ ის თავის სამუშაოს ისევ დაუბრუნდა.

2009-2016 წლებში ჯო ბაიდენი ბარაკ ობამას ადმინისტრაციაში ვიცე-პრეზიდენტი იყო, მისი მეუღლე კი ამ დროს ვირჯინიის უნივერსიტეტში ინგლისურ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა.

**„ჩემმა მეუღლემ არჩევნები რომც მოიგოს, მე მაინც პეგადოგად მუშაობას გავაგრძელებ — ეს ჩემი მთავარი მიზანია ცხოვრებაში“,** — თქვა ჯილ ბაიდენმა.

### საზოგადოებრივი კოლეჯების სისტემას მხარს უჭერს

**საზოგადოებრივი კოლეჯები შტატებში ახალგაზრდებს უფასოდ პროფესიული განათლების მიღების საშუალებას აძლევენ. სწავლება 2 წლის მანძილზე გრძელდება და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღების შესაძლებლობასაც იძლევა.**

სწორედ ამ დარგის სპეციალისტია ჯილ ბაიდენი - მისი ერთ-ერთი დისერტაცია საზოგადოებრივი კოლეჯების საქმიანობას მიეძღვნა. ის მიიჩნევს, რომ რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ უნდა მიიღოს პირველადი პროფესიული განათლება კოლეჯებში, რადგანაც იქ მიღებული პროფესია შესაძლოა მათ ცხოვრებაში გამოადგეთ.

ჯილ ბაიდენი ასევე მიიჩნევს, რომ კოლეჯები დიდი როლს ახალგაზრდებში კრიმინალის წინაამღდეგ ბრძოლაში თამაშობენ, თანაც ისინი სოციალურ ლიფტებს წარმოადგენენ.

### იბრძვის სამხედროების უფლებებისთვის!

**ბაიდენების ოჯახის ერთ-ერთი შვილი ბო — სამხედრო იყო, ჯილი კი — არასამთავრობო ორგანიზაცია Delaware Boots on the Ground-ის აქტივისტია. ეს ორგანიზაცია სამხედროების ინტერესებს იცავს.**

მეორე ლედის სტატუსში ის ამერიკულ სამხედრო ბაზებს ხშირად სტუმრობდა, მათ შორის შტატებს გარეთ. მან ასევე დაწერა საბავშვო წიგნი „არ დაივიწყოთ ჩვენი ჯარისკაცები, ფარავდეთ მათ ღმერთი“ (Don’t Forget, God Bless Our Troops). სამწუხაროდ, ბო ბაიდენი 2015 წელს ტვინის კიბოთ გარდაიცვალა.

### დააარსა მკერდის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა

**პროგრამა შეიქმნა მომავალი პირველი ლედის მშობლიურ შტატ დელავერში. მისი მეშვეობით 10 000-მა მოზარდმა გოგონამ მკერდის კიბოს ადრეული დიაგნოზი დაიდგინა.**

ჯილ ბაიდენი ასევე ამ დაავადების პროფილაქტიკასთან დაკავშირებულ კვლევებს მხარს აქტიურად უჭერს.

### მიშელ ობამა მას მაგალითად მიიჩნევს

**ამერიკის პირველი და მეორე ლედი ბევრ რამეს ერთად აკეთებდნენ, მაგალითად, მათ სამხედროების საზოგადოებაში მეტი ინტეგრაციისთვის პროგრამა Joining Forces Initiative დააარსეს.**

მიშელ ობამას თქმით, ის ყოველთვის აღტაცებული იყო იმით, ჯილ ბაიდენი მეორე ლედის ფუნქციებს თავის სამუშაოსთან ათავსებს. თეთრ სახლში დაბრუნების შემდეგ, სავარაუდოდ ჯილი და მიშელი ერთობლივ საქმიანობას კვლავაც გააგრძელებენ. ექსპერტების აზრით, მათი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები განათლება და სამხედროების სოციალური მხარდაჭერა იქნება.

**FORBES**





## ტრამპი ხელისუფლების გადაცემას დათანხმდა

დონალდ ტრამპი ხელისუფლების გადაცემის პროცესის დაწყებას დათანხმდა. მისი განცხადებით, ფედერალურმა სააგენტომ, რომელიც ხელისუფლების გადაცემის პროცესს უძღვება, „ყველაფერი უნდა გააკეთოს, რაც გასაკეთებელია“.

**„მინდა, მადლობა გადავუხადო სახელმწიფო სერვისების ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ემილი მერფის ჩვენი ქვეყნის ერთგულებისთვის. მას ავიწროებდნენ, აშინებდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ. მე არ მსურს, რომ ეს ხდებოდეს. ჩვენი საქმე გრძელდება. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას და მჯერა, რომ გავიმარჯვებთ. ამის მიუხედვად, ამ ქვეყნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვაძლევ ემილის და მის გუნდს, გააკეთონ ყველაფერი, რაც გასაკეთებელია პროტოკოლის მიხედვით. ანალოგიურ რეკომენდაციას ვაძლევ ჩემს გუნდს“,** — წერს დონალდ ტრამპი „ტვიტერის“ გვერდზე.

**„ხელისუფლების გადაბარება შედგება, თუ სასამართლოები არ მიიღებენ გადაწყვეტილებას პრეზიდენტ ტრამპის სასარგებლოდ. მაგრამ პრეზიდენტ ტრამპს არ ამოუწურავს სამართლებრივი საშუალებები. ჩვენ ვართ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ქვეყანა და პრეზიდენტმა სასამართლოს მიმართა, რადგან მას აქვს ამის უფლება, როგორც ამერიკის მოქალაქეს. მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებენ, ჩვენ განვაგრძობთ სვლას“,** — განაცხადა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა რობერტ ობრაიანმა. 9 ნოემბერს დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ბილ სტეპინმა აღნიშნა, რომ რამდენიმე გადამწყვეტ შტატში დონალდ ტრამპის გუნდი სამართლებრივ დავებს აწარმოებს არჩევნებში დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით.

## ალექსანდრ ლუკაშენკო ანათემას გადასცეს

**ბელარუსის არაღიარებულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ბელარუსი ხალხი შეურაცხყოფისა და დამცირების ბრალდების შესაბამისად, მოქმედი პრეზიდენტი, ალექსანდრე ლუკაშენკო ანათემას გადასცა და დაწყევლა.**

მაღალი თანამდებობის მქონე სასულიერო პირმა სვიატოსლავ ლოგინმა აღნიშული გადაწყვეტილება 22 ნოემბერს, კანადაში — ტორონტოში ჩატარებული წირვის ფონზე გაჟღერდა.



**„ალექსანდრ ლუკაშენკო მოსახლეობის პროტესტს ძალადობრივად დაუპირისპირდა. მისი ქმედებები ბელარუსი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც გამოხატულია ძალადობრივი ფორმითა და სისხლიანი შურისძიებით მიუღებელი და დასაგმობია. ეკლესია სამართლიანობისთვის იბრძვის და იგი გულგრილი ვერ იქნება ბელარუსელთა გენოციდის მიმართ“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

## „მოხერხებული“ ჟურნალისტი

**ჰოლანდიელმა ჟურნალისტმა დანიელ ვერლანმა საკუთარი სახლიდან, პირადი კომპიუტერის საშუალებით მოახერხა, დროებით შეეწყვიტა ევროსაბჭოს გასაიდუმლოებული ვიდეოკონფერენცია. კონფერენცია, რომელიც ინტერნეტში პროგრამა ზუმის საშუალებით მიმდინარეობდა, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 28 წარმომადგენელი ესწრებოდა, რომლებიც განიხილავდნენ ევროსაბჭოს სამომავლო სამხედრო კონცეფციას.**

რა თქმა უნდა, ჟურნალისტს დაუყოვნებლივ მოსთხოვეს ინტერნეტ სივრცის დატოვება, თუმცა ვერლანმა მაინც მოახერხა სურათის გადაღება და საკუთარ „ტვიტერზე“ მისი განთავსება, რასაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მართალია იმ ვითარებაში, როდესაც ვიდეოკონფერენციაზე სახლის ფორმაში გამოწყობილი ადამიანი დაინახეს, ევროსაბჭოს წარმომადგენლებს გაეცინათ, მაგრამ შემდეგ კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების საკითხი. რადგან თუ ერთმა ჟურნალისტმა ასე ადვილად შესძლო პაროლის ამოცნობა, მაშინ მომავალში ასეთი შემთხვევები კიდევ უფრო გახშირდება და საჭიროა ასეთი შეხვედრები კიდევ უფრო მეტად იყოს დაცული.

## რუსი ოფიცერი დაიჭრა, აზერბაიჯანელი დაიღუპა

**მთიან ყარაბაღში ნაღმის აფეთქების შედეგად რუსი ოფიცერი დაიჭრა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.**

რუსეთის თავდაცვის უწყების ინფორმაციით, ინციდენტის შედეგად ერთი აზერბაიჯანელი სამხედრო დაიღუპა. ინციდენტი სოფელ მადაგიზთან მოხდა, როდესაც რუსი მშვიდობისმყოფელების ჯგუფი, აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალებისა და მთიანი ყარაბაღის საგანგებო სიტუაციების მართვის „სამინისტროს“ წარმომადგენლები დაღუპულთა გვამებს ეძებდნენ.

# უფლის თეთრი ანგელოზი...

**ცხოვრობს ბათუმში ფრიად საინტერესო, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, მშვენიერი ქალბატონი რიტა (მარგარიტა ფომინიხ-ხვადაგიანი)..**

**ახლახან 70 წელი შეუსრულდა, თუმცა უფლის რჩეულს წლები ვერას აკლებენ, საოცრად ინარჩუნებს ახალგაზრდულ იერსახეს, სულისა და სხეულის სიმრთელეს. იქნებ იმიტომაც, რომ მისი სულის სარქველს პოეზია აღებს. წერს, როცა საკუთარ თავში გრძნობს სრულიად ახალ, ცხად, მნიშვნელოვან შინაარსს და ვერ მოისვენებს, სანამ მას არ გამოხატავს ლექსის სახით.**



რიტა ხვადაგიანი წიგნებიდან მოდის. მისი სულის სარქველს პოეზია აღებს. ამის დასტურია მაღალი პოეტური ხელწერით შექმნილი კრებული – „Стихи и переводы“(გამომცემლობა „მერანი“ ბათუმი, 2010). მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ იგი სპეციალობით პედაგოგია. წლების მანძილზე ბიოლოგიასა და ქიმიას ასწავლიდა, დამთავრებული აქვს აგრეთვე სამედიცინო ინსტიტუტი. ამაგდარ მასწავლებელს ეამაყება, რომ მისი აღზრდილები შესანიშნავი სპეციალისტები და პატრიოტი მამულიშვილები დადგნენ.

დაკვირვებულ და მოსიყვარულე პედაგოგს გულს სტკენდა მოსწავლეებში სქოლიოზის, ბრტყელტერფიანობის და აღნაგობის დარღვევის სხვა გამოვლინებათა სიხშირე. მრავალმა პეტიციამ არ გაჭრა – განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სტრუქტურებმა ვერ გამონახეს საშუალება დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად.

იმედგაცრუებული პედაგოგი თვითონ შეუდგა ბავშვთა აღნაგობის დარღვევათა გამოვლენისა და მკურნალობის პროგრესული მეთოდების შესწავლას. ასე გაეცნო იგი საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქმედ შესაბამის დაწესებულებებს, პირადი ურთიერთობა დაამყარა ამ საკითხებით დაყურადღებულ სპეციალისტებთან. შრომატევად საქმეს ბავშვების სიყვარულით, საკუთარი დანაზოგებით აკეთებდა, როგორც თვითონ ამბობს – „ღმერთის ნებით, ღმერთის კარნახით“.

ამგვარი რუდუნებით ქალბატონმა რიტამ საქართველოს დიდი ქალაქებისა და ზოგიერთი რაიონის საშუალო სასწავლებლებში დააარსა „ჯანსაღი სკოლის“ ქსელი, სადაც მოსწავლეებს ასწავლიდნენ აღნაგობის შენარჩუნების (პრევენციის) ჰიგიენას, გამოვლინებულ დარღვევათა კორექციის ეფექტურ მეთოდებს, ძირითადად ფიზიკური ვარჯიშებით (კაცუძო ნიშის ჯანმრთელობის სისტემის მიხედვით), ტიბეტური მედიცინის ათასწლეულთა მანძილზე აპრობირებული ბიოაქტიური დანამატების გამოყენებით. „ჯანსაღმა სკოლამ“ მრავალ მოსწავლეს დაუბრუნა სწორი აღნაგობა, სიხარული და ბედნიერება მიანიჭა მათ მშობლებს.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ქალბატონი რიტა საფუძვლიანად ჩაუღრმავდა ბიბლიის სიბრძნეს.

იგი შეუპოვრად აგრძელებს ქართული ანბანით ბიბლიის „გაშიფრვის“ კვლევას. დიდი ენთუზიაზმით უზიარებს ამ ცოდნას ყველა დაგულისყურებულ პირს.

ბევრი სხვა ნიჭიც უხვად დააბერტყა უფალმა რიტას: თხზავს არაჩვეულებრივ ლექსებს, რომლებიც მუსიკალური ჟღერადობის გარდა, ღრმა შინაარსითაც გამოირჩევა. გამოცემული აქვს ლექსების სამი კრებული. ეწევა აგრეთვე მთარგმნელობით მოღვაწეობას – ქართულიდან რუსულ ენაზე ნათარგმნი აქვს ორი სქელტანიანი წიგნი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ქართველი კლასიკოსი პოეტების ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ზურაბ გორგილაძის და სხვა პოეტური შედევრების თარგმანების კრებული.

ქალბატონი რიტას ბაბუა – გიორგი მოსაშვილი, ცნობილი არქიტექტორი ყოფილა. ალბათ, გენეტიკურად აქვს გამოყოლილი რიტას დიზაინერის ნიჭი – ადვილად შეუძლია სივრცის დაპროექტება, პატარა ბინაში ცხოვრობს, სადაც ყოველი სანტიმეტრი გაანგარიშებული და გამოყენებულია, ამავე დროს ყველა ნივთი გემოვნებითაა შერჩეული და დალაგებულია ისე, რომ მნახველს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. აქ თავს მოხერხებულად გრძნობენ ქოთნის ყვავილებიც, რაც პოეტი ქალბატონის მხრიდან მიუთითებს ბუნების განსაკუთრებულ სიყვარულზე, ამას ხაზგასმით აღნიშნავს ყველა, ვისაც რიტას ბინა დაუთვალიერებია.

ბუნებით რიტა სიკეთით აღსავსე, გულკეთილი და გულუხვი ადამიანია, როცა ვინმეს შეატყობს ხელმოკლეობას, მაშინვე ეხმარება, შეიძლება თვითონ დაიკლოს. რიტას იშვიათად ნახავთ მარტოს – მასთან თავს იყრიან მეგობრები, სხვადასხვა თაობის ადამიანები სადილზე, ფინჯან ყავაზე... და არის საუბრები პოეზიაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, რელიგიაზე, ქართული ენის უნიკალურობაზე.

უაღრესად რელიგიურია, თავგამოდებული მართლმადიდებელი, თუმცა არა ტრაფარეტულად, არა დოგმატურად, არამედ ღრმა შეგნებით, როგორც თვითონ იტყვის, ღმერთი კარნახობს, სულის სრულყოფის გზას უჩვენებს.

ქრისტესმიერი სიყვარულით აკავშირებს ერთმანეთთან მრავალრიცხოვან მეგობრებს.

**სულიერებას ქადაგებ,**
**მორწმუნეთა დვრიტა,**
**უფლის თეთრო ანგელოზო,**
**ჩვენო სენიორიტა,**
**ამდენ თავმომაბეზრებლებს,**
**მიკვირს, როგორ გვიტან,**
**რაც გაგვიცან იმ წუთიდან,**
**საათიდან, დღიდან...**
**მაგრამ რადგან სათნო ხარ და**
**უსაშველოდ წმინდა,**
**შენში ყველა მიმტევებლის**
**მადლი გამობრწყინდა,**
**ამ უბრალო, სადა ლექსით**
**მეც მოგეთბო მინდა,**
**თვითონ ნება უფლისაა,**
**ციდან ჩამოფრინდა,**
**არ ვაჭარბებ – მეგობრებში**
**შეგადარებ კრისტალს,**
**უფლის თეთრო ანგელოზო,**
**ჩვენო სენიორიტა.**
**.... რიტა, რიტა... რიტა...**

დიდხანს იცოცხლე,
გვიყვარხარ!

**ცისანა ანთაძე**

**ქ. ბათუმი**

## მილოცვა

**საქართველოში ველაზე მრავალრიცხოვანი გვარის – ბერიძეთა საგვარეულო დარბაზი გულწრფელად ულოცავს შესანიშნავ, ერუდირებულ, სათნო და ქართველი ერის გულშემატკივარ ქალბატონ**

**რიტა ხვადაგიანს**

**დაბადებიდან 70 წლის იუბილეს.**

**ქალბატონო რიტა, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და სიყვარულით აღსავსე ცხოვრებას შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად!**

**კვლავაც ნაყოფიერად გეღვაწოთ ქართველი ერის კულტურის წარმოსაჩენად საერთაშორისო არენაზე და მისი შემდგომი აღმავლობისთვის.**

დიდი პატივისცემით,
გვარის ეთნარქი **ვაჟა ბერიძე**



# არსებული ხარვეზები ეტაპობრივად სწორდება

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ძეგლთა დაცვის სააგენტოსთან ერთად გელათის სამონასტრო კომპლექსის დროებითი გადახურვის სამუშაო დაასრულა.**

ჩატარებული სამუშაოების შედეგად სამონასტრო კომპლექსი სრულად იქნება დაცული ზამთრის პერიოდში, პარალელურად კი აქტიურად გაგრძელდება მუდმივი გადახურვისთვის საჭირო კრამიტის დამზადება.



მუნიციპალური განვითარების ფონდის დავალებით, კონტრაქტორი კომპანიის მიერ შეკვეთილი კრამიტის ყველა პარტიას ჩაუტარდება დამატებითი ექსპერტიზა და სამონასტრო კომპლექსი მხოლოდ ამის შემდეგ გადაიხურება.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა სამონასტრო კომპლექსზე ხარვეზების გამოვლენისთანავე, დაუყოვნებლივ დაიწყო საკითხის შესწავლა. ფონდმა კომპლექსზე დეფექტების გამოსწორება დაავალა როგორც კონტრაქტორ, ისე საერთაშორისო საზედამხედველო კომპანიას, რასაც ითვალისწინებს მათთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთწლიანი საგარანტიო ვადა.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ძეგლთა დაცვის სააგენტოსთან ერთად ეტაპობრივად და თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა საჭირო ქმედებას, რათა დროულად გამოსწორდეს სამონასტრო კომპლექსზე არსებული ხარვეზები.

# ახალი ტაძარი თბილისში

**თბილისში, ქავთარაძის 40 ნომერში იაკობ მოციქულის სახელობის ტაძარი ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა იაკობმა აკურთხა.**

დღეიდან ტაძარში უკვე წირვა-ლოცვები აღევლინება. ტაძრის მშენებლობა 2015 წელს უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაიწყო და ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.



# პირველად აუდიოფორმატის სახელმძღვანელოები უსინათლო მოსწავლეებისთვის

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, უსინათლო და მცირემხედველ IV-VII კლასების მოსწავლეებს აუდიოფორმატის სახელმძღვანელოებით სწავლის შესაძლებლობა ექნებათ, რაც პანდემიის პირობებში შესაძლებლობას მისცემთ, მიიღონ სრულფასოვანი განათლება. სამინისტროს მიზანია, უზრუნველყოფილი იყოს მათი მაქსიმალური დამოუკიდებლობა და სოციალური ინტეგრაცია.**

სამინისტროს მხარდაჭერით აუდიოფორმატში ინტეგრირდება IV-VII კლასების ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო. შედეგად, გახმოვანებული წიგნებით ისარგებლებენ არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ დაინტერესებული პირებიც, რადგან სახელმძღვანელოები სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეც განთავსდება.

უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეებს სამინისტრომ ბრაილის შრიფტით აწყობილი და რელიეფური ნახატებით დაბეჭდილი ახალი გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები უკვე გადასცა. აღნიშნული რესურსებით მოსწავლეებს ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ როგორც ტექსტის სახით, ასევე სახელმძღვანელოებში მოცემული ვიზუალური მასალების ტაქტილური შეხებითაც. სულ მალე კი მოსწავლეებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების აუდიოვერსიაც ექნებათ, რაც პანდემიის პირობებში, მათ სასწავლო პროცესში ეფექტურ ჩართულობას შეუწყობს ხელს. სამომავლოდ კი სახელმძღვანელოების აუდიოფორმატში გადაყვანა ეტაპობრივად გაგრძელდება.

ძიუდო

# გრიგალაშვილის ევროპული გრიგალი

## ქართველები ჩემპიონატიდან ექვსი მედლით დაბრუნდნენ

**ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში დამთავრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველებმა თითო ოქრო-ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. შეჯიბრების პირველი უიღბლო დღის შემდეგ ჩვენებმა წარმატებით იასპარეზეს და განსაკუთრებით 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოიჩინეს თავი. ამას წინათ 23-წლამდელთა ევროპის პირველობაზე ტატო გრიგალაშვილმა (81 კგ) და ლუკა მაისურაძემ (90 კგ) ოქროს მედლები დაიმსახურეს. ამჯერად ორივე ახალგაზრდა ფალავანმა 81 კილოში მოსინჯა ძალები. განსაკუთრებით ტატომ იყოჩაღა — გრიგალივით დაატყდა თავზე ევროპელებს: სტარტზე იტალიელ კრისტიან პარლატის აჯობა, შემდეგ მის გზას გაუყენა ბერძენი თეოდოროს დემეტრიდისი. მეოთხედფინალში ქართველები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გრიგალაშვილმა აქაც მიაღწია წარმატებას — თანაგუნდელ მაისურაძეს სძლია, მომდევნო ორ ორთაბრძოლაში იოლად გაუსწორდა ბელგიელ მატიას კასეს, ბულგარელ ივაილო ივანოვს (45 წამში) და ევროპის ჩემპიონობას დაეუფლა.**



ამავე წონაში ლუკა მაისურაძეს ბრინჯაოს მედალი ხვდა. გრიგალაშვილთან წაგების შემდეგ მან დამამშვიდებელში ჯერ აზერბაიჯანელ მურად ფატიევს, შემდეგ კი ნიდერლანდელ ფრანკ დე ვიტს მოუგო და მესამე ადგილზე გავიდა.

73 კილოში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა პირველ წრეში გერმანელი ანტონი ზინგი დაჯაბნა, მერე პოტუგალიელ ჟოაო ფერნანდოს და მისთვის უხერხულ მეტოქეს — აზერბაიჯანელ რუსტემ ორუჯოვს აჯობა, ნახევარფინალში იტალიელი ფაბიო ბაზილეს დასამარცხებლად წუთიც არ დასჭირვებია, გადამწყვეტი შეხვედრა კი მოლდოველ ვიქტორ სტერპუსთან წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა.

ჩემპიონატის ბოლო დღეს ერთბაშად ოთხი ქართველი ძიუდოისტი გავიდა ნახევარფინალში, მაგრამ ეს ბარიერი ვერც ერთმა ვერ გადალახა. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ბექა ღვინიაშვილმა, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ესპანეთის სახელით მოასპარეზე ნიკოლოზ შერაზადიშვილი დაამარცხა. 100 კილოში მესამე ადგილზე გასვლა შეეძლო ვარლამ ლიპარტელიანს, მაგრამ მან ვერაფერი მოუხერხა პორტუგალიელ ჟორჟე ფონსეკას, პირიქით - დამატებით დროში მესამე გაფრთხილება მიიღო და უმედლოდ დარჩა.

მძიმე წონაში (+100 კგ) ორი ქართველი ჭიდაობდა — გურამ თუშიშვილი და ლევან მატიაშვილი. ორივენი ნახევარფინალში რუსეთელებთან დამარცხდნენ: თუშიშვილი — ინალ ტასოევთან, მატიაშვილი კი — თემირლან ბაშაევთან. სამაგიეროდ, ჩვენებმა დამამშვიდებელში, შესაბამისად, ჩეხ ლუკაშ კრპალეკსა და ავსტრიელ შტეფან ჰეგის სძლიეს და საქართველოს დელეგაციის ყულაბას ბრინჯაოს მედლები შემატეს.

**ლექსო ცინცაძე**

ფიგურული სრიალი

# „მორისის ვერცხლი“



**ფიგურულ ციგურაობაში მოსკოვის გრან პრიზე მორის ყვითელაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ევროპის ვაჟთა ჩემპიონატების ისტორიაში საქართველოს პირველმა მედალოსანმა, 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის მედროშემ მოკლე პროგრამაში 99.56 ქულა დაიმსახურა და საუკეთესო შედეგი აჩვენა, თავისუფალ პროგრამაში კი მსაჯებისგან 176.24 ქულა მიიღო, ორივე პროგრამის ჯამში 275.80 ქულა დააგროვა და მეორე ადგილი დაიკავა.**

**„ბედნიერი ვარ იმით, თუ როგორ აეწყო ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალ ვარჯიშში რაღაცები სწორად არ წავიდა. მოკლე პროგრამაში გაცილებით უკეთ ვიასპარეზე. მინდა მუშაობა გავაგრძელო, დავიხვეწო და შემდეგ შეჯიბრებებზე უკეთეს შედეგებს მივაღწიო,“** - განაცხადა 25 წლის მორის ყვითელაშვილმა, რომელსაც სახელოვანი მწვრთნელი ეთერ თუთბერიძე ავარჯიშებს.

აღსანიშნავია, რომ ყვითელაშვილისთვის მოსკოვის გრან პრიზე წარმატება პირველი არ არის. ქართველმა მოციგურავემ ასევე ვერცხლის მედალი მოიპოვა 2018 წლის მოსკოვის გრან პრიზე, წლეულს იანვარში კი, ბევრისთვის მოულოდნელად, გრაცის ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი აიღო.

**ბეჟან დოლიძე**

სუმო

# დადებითი ბალანსი გაინაღდა

**კიუშუ ბაშოზე ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ მე-14 საშეჯიბრო დღეს მე-8 გამარჯვება მოიპოვა და დადებითი ბალანსი გაინაღდა — ტოჩინოშინმა იორიკირის ილეთით მე-12 მაეგაშირა კაისეის აჯობა, ვინც აქამდე 20 ორთაბრძოლიდან 12-ჯერ ჰყავდა დამარცხებული. ლევანმა, რომელიც სუპერტურნირზე ტრავმირებული გამოდიოდა, 8 პაექრობა მოიგო 6 მარცხის წილ და იანვრის ბაშოს წინ რეიტინგში დაწინაურდება.**



აქვე გაუწყებთ, რომ ტრავმების გამო კარიერა დაასრულა თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუმ).

**გივი გაგუა**

რაგბი

# მეორე მარცხი, ისევ ნულზე

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები შემოდგომის ერთა თასის მეორე ტურში უელსის ნაკრებს დაუპირისპირდა. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინათ ლევან მაისაშვილის შეგირდები ინგლისელებთან 0:40 დამარცხდნენ. „ბორჯღალოსნებმა“ ვერც ამჯერად გამოიჩინეს თავი და შეხვედრა ისევ წააგეს 0:18 (ქულები: შიდი — 9, ჯ., ზამიტი — 25, ლ., შიდი — 26, გ., შიდი — 51, ჯ., ვები — 75, ლ). სამწუხაროა, რომ ჩვენებმა მეორედ დატოვეს მოედანი ისე, რომ ქულა არ მოუპოვებიათ და გათამაშების ცხრილში ნული ქულით ბოლო ადგილზე არიან. ლიდერობენ ინგლისელები, რომლებმაც მეორე ტურში ირლანდიას სძლიეს 18:7. მესამე ტურში, 29 ნოემბერს, „ბორჯღალოსნები“ სწორედ ირლანდიის ეროვნულ გუნდს გაუწევენ მეტოქეობას.**



საქართველოს ნაკრებმა უელსთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ნარიაშვილი (გოგიჩაშვილი, 54), ბრეგვაძე (ჭყოიძე, 62), გიგაშვილი (ყაულაშვილი, 54), ქერდიყოშვილი, მიქაუტაძე (ჯაიანი, 37), გიორგაძე (თხილაიშვილი, 55), საღინაძე, გორგაძე, ლობჟანიძე (აფრასიძე, 55), აბჟანდაძე, თოდუა (თაფლაძე, 77), შარიქაძე, კვესელაძე, ტაბუცაძე (მჭედლიძე, 77), ხმალაძე.

სიამოვნებით დავძენთ, რომ 22 ნოემბერს ისტორიული ფაქტი მოხდა: 26 წლის ქართველმა მსაჯმა **ნიკა ამირეჯიბმა** შოტლანდია — საფრანგეთის მატჩში (15:22) პირველად გაუწია ასისტენტობა უეინ ბარნსს.

**თამაზ ირემაძე**

შვიდგზის!

# სარეკორდო თამაშა

**ავტოსპორტის ტრფიალთ კარგად მოეხსენებათ, რომ ფორმულა — 1-ის ყველაზე ტიტულოვანი მრბოლის სტატუსს კარგახნის განმავლობაში ინარჩუნებდა მისი ხუთგზის ტრიუმფატორი, ლეგენდარული არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო, რომელმაც ძრავების სამყაროში მთელი ეპოქა გასული საუკუნის 50-იან წლებში შექმნა.**

მას შემდეგ, უამრავი ვარსკვლავის აკიაფების მიუხედავად, სამხრეთამერიკელის რეკორდი მოუხსნელი რჩებოდა, ვიდრე კოლეგათა ნახევარსაუკუნოვანი მცდელობა წარმატებით პოდიუმზე შვიდჯერ ასულმა გერმანელმა ჯადოქარმა მიხაელ შუმახერმა არ დააგვირგვინა. როგორც იცით, იგი უბედური შემთხვევის შედეგად წლების მანძილზე კომაში იყო და სიკვდილს დღესაც ებრძვის.

ხომ გსმენიათ — მჯობნის მჯობნი არ დაილევაო. ჰოდა, სწორუპოვარი წინამორბედის მიღწევა სულ ახლახან ინგლისელმა საოცრებამ ლუის ჰემილტონმა გაიმეორა, რომელმაც ვადამდე მიაღწია საწადელს კოკისპირულ წვიმაში გამართული თურქეთის ეტაპის მოგებით.

მისი ფენომენალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ მალევე ექსტრიმის ქომაგთა ელიტურ საზოგადოებას ერთპიროვნული ლიდერი ეყოლება.

სხვათა შორის, ამ დღეებში ღირსეული თანამემამულე, უკვე მერამდენედ, სამშობლოში კიდევ ერთხელ დააფასეს და წლის საუკეთესო ფერადკანიან ბრიტანელად აღიარეს.

მართლაც რომ ალალია!

**კობა კობახიძე**



პოლიტიკა ყინულზე

# გერის როლში




**გაისად მაისში ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატს ლატვიამ და ბელარუსმა უნდა უმასპინძლონ, მაგრამ, კორონავირუსის პანდემიის გარდა, აღნიშნული ერთობლივი პროექტის განხორციელებას სხვა საფრთხეც გამოუჩნდა.**

საუბარია დასავლეთელ მდუღარე თავებზე, რომლებმაც, აქაოდა ლუკაშენკომ საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებით ძალაუფლება მიითვისაო (როგორი ნაცნობი ფირფიტაა, ხომ?), მომავალი ფორუმის ორგანიზატორებს მისი სხვა ქვეყანაში გადატანისკენ მოუწოდეს.

ძალაუნებურად უახლოესი წარსული გაგახსენდება კაცს, როცა ჯერ 2014 წლის სოჭის „თეთრი ოლიმპიადის“, ხოლო შემდეგ 2018 წლის საფეხბურთო მუნდიალის რუსეთისთვის დაკისრების მერე იხტუნავეს ზოგ-ზოგიერთებმა, რომლებიც პროტესტის საბაბად დოპინგ-სკანდალებსა და დიქტატორ პუტინის ფაქტორებს იშველიებდნენ, თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, არც ერთ შემთხვევაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ფიფა-ს გადაწყვეტილებები არ შეცვლილა და სპორტის მოყვარულებს საუკეთესო მოგონებები დარჩათ.

აქედან გამომდინარე, მიდი და ნუ იფიქრებ, რომ ცივილიზებულ ევროპელებს მინსკი დაბალ ღობედ მიაჩნიათ და მას, როგორც თვალუწვდენელ ტრამალებზე გადაჭიმული უზარმაზარი მეზობლის უმცროს ძმას, ისე უპირებენ დასჯას. არადა, შეგახსენებთ, რომ შარშან მინსკმა სამაგალითოდ მიიღო მეორე ევროპული თამაშები.

ბუნებრივია, ნატოს ნებიერა ბალტიისპირელებს ეს საშიშროება არ ემუქრებათ.

ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ლატვიამ ყინულოვან სამყაროს ჰელმუტ ბალდერისი მაინც აჩუქა, აი, ბელარუსმა რით დაიმსახურა ასეთი პატივი, მართლაც საინტერესოა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# უმუშევრობა საგრძნობლად „ამუშავდა“



**უმუშევრობა რომ მკვეთრად გაიზარდა, ამას მთავრობაც ადასტურებს და ეკონომისტებიც, უბრალოდ, ვინ რა მასშტაბით აფასებს „მკვეთრ მატებას“, ესაა გასარკვევი. ეროვნული ბანკი უმუშევრობის 4%-იან მატებაზე საუბრობს, ხოლო სპეციალისტებს ეს მეტად ოპტიმისტურ შეხედულებად მიაჩნიათ.**

2020 წლის III კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 11.9 პროცენტი შეადგინა.

2020 წლის III კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 60.8 პროცენტი შეადგინა. აქტიურობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში შემცირებულია, შესაბამისად 0.8 და 3.0 პროცენტული პუნქტით. დასაქმების დონე ქვეყნის მასშტაბით შემცირებულია 1.9 პროცენტული პუნქტით, ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში — 2.3 პროცენტული პუნქტით.

„საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წლის მესამე კვარტალში დასაქმებული ადამიანების რაოდენობამ 1,628.7 ათასი კაცი შეადგინა, რაც გასული წლის მესამე კვარტალთან შედარებით 62 500 დასაქმებულით ნაკლებია. დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში ტრადიციულად ყველაზე დიდი წილი თვითდასაქმებულებს უჭირავს, რომელთა რაოდენობა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 822 700 კაცით განისაზღვრა. რაც შეეხება დაქირავებით დასაქმებულებს, მათი რაოდენობა 805 300 კაცს შეადგენს.

დასაქმებულთა შემცირების ფონზე მცირდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობაც. მესამე კვარტალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობამ 1 847.7 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 55 100 კაცით ნაკლებია. ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში შედიან 15 წლისა და უფროსი ასაკის პირები, რომლებიც მუშაობენ, ან მზად არიან, დაიწყონ მუშაობა.

ეროვნული ბანკის გაანგარიშებები უფრო შორს მიდის. მათი ვარაუდით, 2020 წლის განმავლობაში საქართველოში უმუშევრობის დონე 4 პროცენტული პუნქტით გაიზრდება. ამ პროგნოზის თანახმად, უმუშევრობის დონე წელს 16.3%-ს მიაღწევს, ხოლო 2021-ში 0.5 პროცენტული პუნქტით, 2022-ში კი დამატებით 2%-ით შემცირდება.

ამგვარ შეფასებებს კატეგორიულად არ ეთანხმებიან სპეციალისტები. თავისუფლებისა და დემოკრატიის ფონდის დირექტორის **ანა გოგოლაძის** აზრით, იმ პირობებში, როდესაც მომსახურების და ტურიზმის სექტორებს ყველანაირი ეკონომიკური აქტიურობა თვეების განმავლობაში შეჩერებული აქვთ და ამ სექტორში დასაქმებულთა უმრავლესობა უმუშევრადაა დარჩენილი, ასეთ დაბალ ზრდაზე საუბარი არარეალურია.

ეკონომისტი **სოსო ბერიკაშვილი** კი მიიჩნევს, რომ ასეთი რთული ვითარების პირობებში მხოლოდ 4 პროცენტული პუნქტით უმუშევრობის ზრდაზე საუბარი სებ-ის ოპტიმისტური პროგნოზია.

**ბექა დანელია**

# მთავრობამ კომერციული ბანკებისგან 80 000 000 ლარი ისესხა



**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 80 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.**

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აუქციონში მონაწილეობა მიიღო ექვსმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 155 617 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 8.240 პროცენტით, მაქსიმალური 8.280 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 8.265 პროცენტით განისაზღვრა. კუპონური საპროცენტო განაკვეთი 9.125 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

# კერძო სახლები დევნილებისთვის

**გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის რეგიონში, დევნილი ოჯახების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სახლები აშენდება. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს.**

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებულ პროექტს, რომელიც დევნილთა განსახლებასთან ერთად, მათ ეკონომიკურ, სოციალურ და საგანმანათლებლო ინტეგრაციასაც ითვალისწინებს, ლტოლვილთა დანიის საბჭო ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, დევნილი ოჯახების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ჯამში, 212 სახლი აშენდება. **„პროექტში მონაწილეობა იმ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს შეუძლიათ, რომლებიც საკუთრებაში, 2020 წლის 1 ნოემბრამდე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს ფლობენ. განაცხადების მიღება 24 ნოემბრიდან დაიწყო და 24 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება.**



**დევნილი ოჯახები განაცხადების შევსებას როგორც ქვეყნის მასშტაბით არსებულ ნებისმიერ იუსტიციის სახლში, ასევე, სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებში შემდეგ მისამართებზე შეძლებენ: ზუგდიდი — აღმაშენებლის ქ.№106; ქუთაისი — აბაშიძის გამზ. №27; გორი — სამების ქ.№1; რუსთავი — ცურტაველის ქ.№5ა“,** — ნათქვამია ინფორმაციაში.

## სამძიმარი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სამძიმარს უცხადებს აკადემიის თანამშრომელს ტატიანა ჯინჯოლიას მეუღლის

**ამირან ძოწენიძის**

გარდაცვალების გამო.

# ყანდაურასა და ბადიაურში წყლის სისტემა მოწესრიგდება

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების — ყანდაურასა და ბადიაურის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე წყალმომარაგების კომპანიამ ტენდერი გამოაცხადა. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 14 მილიონ ლარზე მეტია.**



წყალმომარაგების კომპანიის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, სოფელ ყანდაურასა და ბადიაურში არ არსებობს ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემა. სოფელ ყანდაურაში, მოსახლეობა წყალს წყაროებიდან და კერძო ჭაბურღილებიდან იღებს. ორი სოფლის მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის მოეწყობა სატუმბო სადგური, რეზერვუარები, მაგისტრალური მილი, წყალმომარაგების ქსელი და გამრიცხველიანდება მოსახლეობა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, სამუშაოები 32 თვეში უნდა დაასრულოს. შედეგად, ორი სოფლის 2 600 მცხოვრებელს სტაბილური წყალმომარაგება ექნება.

# უცხოეთში ქართულ თხილზე მოთხოვნილება იზრდება

**1 აგვისტოდან 23 ნოემბრამდე პერიოდში განხორციელდა 10 848 ტონა თხილის ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 57.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.**



წლეულს თხილის ექსპორტის მოცულობა 2 993 ტონით (38%) აღემატება 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელებული ექსპორტის მოცულობის მაჩვენებელს, ხოლო ექსპორტის ღირებულება 18.4 მლნ აშშ დოლარით (48%) გაიზარდა. ამავე პერიოდში, თხილის საექსპორტო ფასი 7%-ით გაიზარდა.

ქართული თხილის ექსპორტი, ძირითადად, ევროკავშირის ბაზრებზე ხორციელდება, კერძოდ, გერმანიაში (3 131 ტონა), იტალიაში (2 124 ტონა), ჩეხეთში (594 ტონა), პოლონეთში (320 ტონა), ლიეტუვაში (311 ტონა), ბულგარეთში (300 ტონა), ესპანეთში (330 ტონა), საფრანგეთში (218 ტონა), საბერძნეთში (97 ტონა), ესტონეთში (88 ტონა), ლატვიაში (84 ტონა), ლუქსემბურგში (60 ტონა), სლოვაკეთში (64 ტონა), ავსტრიასა (22 ტონა) და ხორვატიაში (10 ტონა).

მიმდინარე წელს წარმოებული მანდარინის ექსპორტი ძირითადად განხორციელდა სომხეთში (883 ტონა) და რუსეთის ფედერაციაში (899 ტონა). აღნიშნული ქვეყნების გარდა, ექსპორტი განხორციელდა აგრეთვე უკრაინაში, მოლდოვასა და ყაზახეთში.

მოსავლის აღება-დაბინავების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით, მუშაობს შესაბამისი შტაბი. არასტანდარტული მანდარინის ჩაბარება, გადამუშავება, ნაკადების კონტროლი და აღრიცხვა ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ხდება. სტანდარტულ მანდარინს 30-მდე საწარმო ჩაიბარებს. რაც შეეხება არასტანდარტულ ნაყოფს, ქობულეთის საკონსერვო ქარხანა მიიღებს.

# შიდა ქართლში მიწას წყურვილს მოუკლავენ...

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს ქვეყნის მასშტაბით აქტიურად ახორციელებს.**

შიდა ქართლში, ძევერა-შერთულის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს. დანალექი გრუნტისა და მცენარეული საფარისაგან მაგისტრალური არხის ერთ-ერთი წყალგამანაწილებლის 3 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.




ექსპლუატაციის პროგრამით გატარებული ღონისძიებების შედეგად, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რის შემდეგაც სარწყავი წყლის მიწოდების რეჟიმი 650 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით გორის მუნიციპალიტეტის 4 სოფლის მოსახლეობა ისარგებლებს (ძევერა, შერთული, კარალეთი და გარეჯვარი).

# ღ ა ზ ო ბ ა

შური არს მწუხარებაჲ სხვისა სიკეთესა ზედა,
ხოლო ლაზობა არა თუ ოდენ მწუხარებისა ქონებაი,
არამედ უქვირესიცა, რამეთუ ენებოს მოსპოლვა
კეთილმოქმედისა მის მოყვასისა.

*სულხან-საბა ორბელიანი*

დაე, იცოდეს ახალგაზრდობამ,
წასაქეზებლად როცა მოდიან,
შურიანი თუ ურჩევს ლაზობას,
თუნდაც ბრწყინავდეს, ოქრო როდია!
დაე, იცოდეს ახალგაზრდობამ,
ვის დაემუქროს სახრის მოქნევით,
უბოროტესი არის ლაზობა,
მოსპოლვა უნდა კეთილმოქმედის!
ყალბ საფიხვნოდ რომ გახადეს ქუჩა,
ამ სისაძაგლეს მიტომ გვაჩვევენ,
ვისაც სამშობლო არარად უჩანს,
გადაგვაყოლებს ქუჩურ გარჩევებს!..



**ალექსანდრე შენგელია**

# დედოფლის ჯინი

**ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეტ II საკუთარი ბრენდის ჯინის გამოშვებას იწყებს.**

დედოფლის ბრენდს Sundringham Celebration Gin-ი ერქმევა და 0,5 ლიტრი სასმელის ღირებულება 50 გირვანქა სტერლინგს შეადგენს.




კოვიდპანდემიის დასრულებამდე მას ადგილზე მიტანის სერვისი გაყიდის, პანდემიის დასრულების შემდეგ კი ჯინი დედოფლის რეზიდენციის სიახლოვეს მდებარე სუვენირების მაღაზიაში გაიყიდება. ეს უკვე მე-3 ალკოჰოლური სასმელია, რომელსაც ბრიტანეთის სამეფო ოჯახი უშვებს. ივლისში სამეფო ოჯახმა Buckingham Palace Gin-ი გამოუშვა, ნოემბერში კი პრინცმა ჩარლზმა ჯინ Highgrove-ის გაყიდვა დაიწყო.

# ქეთა თოფურია „საიდუმლოდ“ დაქორწინდა



**ნიჭიერი ქართველი მომღერალი ქეთა თოფურია, რომელიც წლებია, რუსეთის შოუბიზნესის ვარსკვლავია, გაბედნიერდა. მან 20 ნოემბერს ახლობლების თანდასწრებით მოაწერა ხელი. მისი რჩეული რუსი ბიზნესმენი ლევ დენგოვია. წყვილს სულ მალე საერთო შვილიც ეყოლება.**

ქეთა თოფურია დიდხანს მალავდა ორსულობის ამბავს. მისმა თაყვანისმცემლებმა სულ ახლახან გამოსულ „ა სტუდიოს“ ახალ კლიპში იხილეს იგი „გაბერილი“ მუცლით.

ორივე წყვილისთვის ეს მეორე ქორწინებაა. საგულისხმო ფაქტია, რომ თოფურიას პირველ ქმარსაც ლევი ერქვა. ლევ გეიხმანს ქეთა 2013 წელს გაჰყვა ცოლად და მათ საერთო შვილი ოლივია ჰყავთ.

წყვილი ბავშვის დაბადების შემდეგ გეგმავდა ქორწილს, მაგრამ როგორც ჩანს, მათი გეგმები შეიცვალა...

# „აბა, დამაცადეს“ ახალი სერიები

**ყველასათვის საყვარელი ანიმაციის „აბა, დამაცადეს“ ახალი სერიები მალე ეკრანებზე გამოვა. მასში ჩვენთვის ნაცნობ მგელთან და კურდღელთან ერთად ახალი გმირი, პატარა საყვარელი ფისო გამოჩნდება.**



მულტფილმს ერქმევა „აბა დამაცადე! არდადეგები!“ სადაც გმირები თავიანთ ოინებს დასვენების დროს სჩადიან.

პატარა ფისოს გამხმოვანებელს „სოიუზმულტფილმი“ საჯაროდ ეძებს. ყველას, ვინც 6 წელზე მეტისაა, შეუძლია შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მიიღოს.

გადაღებები სრულდება და ანიმაციაც მალე გამოვა ეკრანებზე.

# როდის დაიბრუნებს ევროპა ტურისტებს?

**ყველამ კარგად იცის, რომ პანდემიამ განსაკუთრებული ზარალი მსოფლიოს ტურიზმს მიაყენა და როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში ცვლილებებს არც უნდა ველოდოთ!.**

ანალიტიკოსების თქმით ყველაზე კარგ ვარიანტში ევროპა 2019 წლის ავია ფრენების მონაცემებს 2024 წლამდე ვერ დაიბრუნებს. ესეც იმ შემთხვევაში თუ ვაქცინაციას მსოფლიო 2021 წლიდან მაინც დაიწყებს და უახლოეს მომავალში კარგი შედეგები ექნება. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ეს ხანა 2026 წლამდე გადაიწიოს. თანაც აქაც ისევ ვაქცინაციის იმედად ვრჩებით.

ყველაზე ცუდი სცენარი კი ის გახლავთ, რომ ტურიზმის ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებას ევროპა 2029 წლამდე ვერ შეძლებს.

ეს მაჩვენებლები კატასტროფულია საავიაციო და ტურისტული ბიზნესისთვის. ეს სფეროც, როგორც მთელი მსოფლიო ისევ და ისევ ვაქცინაციის მოლოდინის რეჟიმშია და ჯერჯერობით დამაიმედებელი გზავნილი არსაიდან ჩანს.

**რუსუდან ქოზულია**

# სანტა კლაუსს კორონავირუსისადმი თანდაყოლილი იმუნიტეტი აქვს

**კორონავირუსის პანდემია სანტა კლაუსს შობის ღამეს საჩუქრების დარიგებაში ხელს არ შეუშლის. ამის შესახებ USA Today-ს აშშ-ის ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორმა ენტონი ფაუჩიმ განუცხადა. მისი თქმით, ამის მიზეზი ის არის, რომ სანტას დაინფიცირება არ ემუქრება.**



**„სანტა ამისგან თავისუფალია, რადგან სხვა კარგ თვისებასთან ერთად, მას თანდაყოლილი იმუნიტეტიც აქვს. სანტა არავის არანაირ ინფექციას არ გადასდებს“,** — განაცხადა ფაუჩიმ.

ის პირველი ოფიციალური პირი არ არის, რომელმაც პატარები დაამშვიდა. გასულ კვირას იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯუზეპე კონტემ 5 წლის ბიჭის წერილს უპასუხა, რომელიც ღელავდა, შეძლებს თუ არა წელს სანტა მისთვის საჩუქრების მიტანას. პრემიერის თქმით, სანტაზე ვირუსთან ბრძოლის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები არ ვრცელდება, ამასთან ის პირბადეს ატარებს და დისტანციას იცავს.

ანალოგიური განცხადება გაკეთდა ბელგიაშიც, სადაც ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა სანტას ოფიციალური წერილი გაუგზავნა და დაარწმუნა, რომ სანტას ბელგიაში ჩასვლის შემდეგ 10-დღიანი კარანტინის გავლა არ მოუწევს. ამასთან, ფრანკ ვანდენბრუკმა სანტას პირბადის ტარების და დისტანციის დაცვის აუცილებლობის შესახებ შეახსენა.

# ჭაში ჩავარდნილი სპილო

**ინდოეთში ჭაში ჩავარდნილი სპილო 14-საათიანი სამაშველო ოპერაციის შედეგად გადაარჩინეს. გამოცემის ინფორმაციით, 30 წლის მდედრის გადარჩენაში 50 ადამიანი მონაწილეობდა.** ოპერაციის მსვლელობისას ადგილობრივები ჭაში ბანანის ფოთლებს აგდებდნენ, რათა ცხოველს ეჭამა. სპილოს ამოყვანა ამწეების მეშვეობით მოხერხდა. ცხოველი თავს კარგად გრძნობს.




## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია:** №GE19TB7601536020100009.

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე —
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 26 ნოემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.3073; ევრო - 3.9215;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3918;
100 რუბლი - 4.3481; თურქული ლირა - 0.4359;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9455;
1000 სომხური დრამი - 6.6014.

**ამინდი 25 ნოემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე | +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -7, | დღე | +8 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე | +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +8 |
| თბილისი: | ღამე | 0, | დღე | +10 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge